


345 /2  
1909



საქართველო ნახატებიანი  
ჟურნალი

№ X

ოქტომბერი

1909





I სურათი ვისა ჰგავს? . . . . .	3
II შემოდგომის პირი ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	3
III მოფიქრებული ცხენი თარგმანი . . . . .	4
IV პატარა ტუსადები ფრანგულით ტასასი . . . . .	5
V გულ ნატკენი მურა ლექსი ნ. ზამქუთელის . . . . .	8
VI მაიმუნი „კისი“ თარგმანი ან. წერეთლის . . . . .	10
VII ბერი-კაცი ინგილოური ზღაპარი ჩაწერილი ან. ინა- შვილის მიერ . . . . .	14
VIII რობერტ-ფულტონი გადმოღებული ალ—ასი . . . . .	16
IX მისაბაძვი საქციელი ფრანგულით ან—ასი . . . . .	22
X გიგუცა და ყურძნის აკილო სოფლის ცხოვრებიდან მღვდ. ბეს. ვაშაქისი . . . . .	24
XI სურათები (ამბის დასაწერათ) . . . . .	27
XII უჯალო ჯადოსნობა (გადმოღებული) ან. წერეთლის . . . . .	28
XIII სურათი ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	34
XIV ბუნების წიაღში დ. თურდეს ჰიკელის . . . . .	35
XV „ხე ცხოვრებისა“ თარგმანი სიფ. შადალაშვილის . . . . .	41
XVI წითელი კაკაბის ამბავი ალფონს დოდესი ფრან- გულით ელ. წერეთლის . . . . .	53
XVII ბამბუ ანუ ინდოეთის ლერწამი ალექსი ჭეჭინაძის . . . . .	61
XVIII გამოსაყენი ცოდნა . . . . .	63

საუქმწვილო ნასატებიანი ქურონალი

# ჭეჭილი,

დაარსებულია 1890 წელს

გამოდის თვეში ერთხელ. ქურონალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფსნი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქართველო ნახატებიანი  
ქურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანა!.

ი. ლ.

ოქტომბერი, 1909

ფელიწალი მგოსე

13

თ ფ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეკდავი ანს. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 2,  
1909





ქართული  
ლიბრერი



აბა ვინა გავს?



## შეძოდგომის ჰირი.

ცა დათალსულებ ჰირძაჲვი,  
ძთას ნისლი მოუფენია;  
ფერი წასვლიათ ველებსა,  
მიდამოს მოუწეენია.

\* \*

ტეე იცარცეება... ფოთლები,  
ქარს მიაქვს ძთა და ბარბთა;  
უღრან სეესუეებს აბარებს...  
წივილით... გლოვის სარბთა.

\* \*

ფრინველებიც ეთსოვებიან  
ნაცნობსა არე-ძარესა;  
გულ-სევდიანის „ჭევი-ჭევი“თ  
მიჭქრინ უცხო ძსარესა.

\* \*

სევდიანდება ქვეუანა,  
ძთას ნისლი მოუფენია;  
ჭენება სიტურფის ბაღნარბი,  
ბუღბუღსაც მოუწეენია.

გ. ქუჩიშვილი.\*





მოთქმული ცხენი.



რთი ცხენი დასჭედეს ჰირველად.  
რამდენიმე დღის შემდეგ მჭედელ-  
მა დაინახა რომ მის სამჭედლოს მო-  
ადგა შეუკანძავი, უაღვირო ცხენი.

მას ეგონა რომ ცხენი შემთხვე-  
ვით მივიდა მის კარსე და დაუწყო  
გაგდება, ქვებს ესროდა რომ გაე-  
ბრუნებინა ჰატრონთან. მაგრამ  
ცხენი მალე ისევ დაბრუნდა. მჭე-  
დელი წამოდგა გასაგდებათ და შე-  
ამჩნია რომ ცხენს ერთ ფეხსე ხალი

არა ჰქონდა. მაშინვე ხალი დააკრა, დასჭედა და უუ-  
რებდა რას იქმობდა. ცხენმა ერთ წამს შესედა მჭე-  
დელს, თითქოს ჰკითხავდა: გაათავე თუ არაო! მერე  
გადადგა დაფიქრებით რამდენიმე ნაბიჯი. ეტეობოდა,  
შინჯამდა კარგათ დამჭედეს თუ არაო და როდესაც  
დარწმუნდა სინარულით ერთი დაიხვისვინა და გაჭ-  
ქროლა სახლისაკენ.


ცხენის ჰატრონს ძალიან გაუკვირდა საღამოზე რომ  
ნახა ცხენის ოთხივე ფეხი დაჭედილი. რამდენსამე დღის  
შემდეგ მჭედელმა უაძბო ამას როგორც იყო საქმე.

(თარგმანი)





## პატარა ტუსაღები.



უძო. ქეთინო, ჩვენ მივდივართ ბაღში სასეირნოთ და ჩქარა მოდით თქვენც, იქ დღეს მუსიკას უკრავენ— დაუვირო პატარა პავლე და ერთ წამს გაჭქრა.

ესენი დიდი ხანია მზათ იყვენ, ელოდენ მხოლოთ დეიდას საჩუქარს. ის დაპირებული იყო ორ ორ აბაზს მაქრია ზურების საყიდლათ.

ემწვილები მივიდენ თუ არა ბაღის შესავალ კარებთან ნასეს დიდ ძალი ხალხი, რომელნიც მოხვევოდენ ვიღაც კაცს.

— უსათუოთ მაქრის ზურებს თუ ჭეიდიან! თქვა ქეთინომ.

— არა, მანდ ჩიტებს ჭეიდიან დასე, ჩვენ მეგობრებს უყიდნიათ გალიით ჩიტები. და ისე შედიან ბაღში. მივიდეთ ახლოს, ვნასოთ რა ჩიტებია.

ემწვილები მიუხსლოვდენ ჩიტებს. იქ დაუსვდათ კიდევ ორიოდ ამხანაგი, რომელნიც სინჯავდენ ერთ დიდ გალიაში მოთავსებულ ექვს ჩიტს.

— ღმერთო ჩემო რა ლამაზები არიან, ეს ტუსაღები, დაივირო ქეთინომ, რა ღირს, მე ორს ვიყიდი!

— ორს ერთ აბაზათ მოგართმევთ, უპასუნა გამეიდგეღმა.

სანამ ქეთინოს ამორჩეულ ჩიტებს ჩასვამდენ პატარა გალიაში ნუშო ნაღვლიანათ შესცქეროდა და





ნარჩენ ოთხ ჩიტს და ეტეობოდა რბლაც ფიქრში იყო, რბლაც აწუსებდა. მერე შორიდებით მიუბრუნდა ფრინველების გაძეიდველს და უთხრა:

— ეგ ოთხივე მოძეცით, მე ვიყიდი.

ქეთინომ იუცხოვია. — მაქრის ზურისთვის სომ ფული აღარ დაგრჩებოა.

ნუშომ სმა არ გასცა. დეიდის ნახუჯი ორი აბაზი გადასცა გაძეიდველს და გამოართვა ჰატარა გალია, რომელშიაც მოუთავსეს ოთხივე ჩიტი.

ბაღში რომ შევიდნენ ნუშოს ყველა მეგობრები მივიდნენ მაქრის ზერების სასეიდლათ, ის ცოტათი მოშორდა მათ, გადგა განხე, გაუღო ჩიტებს გალიის კარი და გამოუშვა. ჩიტები ჟივილ სივილით აფრინდნენ და ეტეობოდათ მათ უბოლოვო სინარული.

ნუშოს უცბათ უკანდან შემოესმა ჰატარა ჰავლეს სმა.

— ეგ რა ქენი, თუ კი გაშვება გინდოდა, რაღას ვიდულობდი.

ნუშოს შერცხვა, რომ მისი საქციელი სხვ მ დაინახა და თქვა:

— იქნება მაგათ დედაცა და მამაცა ჭყავთ, ისინი სომ უმაგათოთ შეწუსდებიან. მერე რა მოსაწეენი უნდა იყოს, როდესაც ფრთები გაქთ და კი ვერ გაფრინდებით.

ჰატარა ჰავლემ ხელიხელს შემოჭკრა და თქვა:

— მართალს აძბობ, ნუშო, მე მაგახე თავის დღეში არ მიფიქრია.

და მაშინვე ჰატარა ჰავლემ მიირბინა ამხანაგებთან, უაძბო ყველას ნუშოს საქციელი და თითონაც გაანათავისუფლა თავისი ჩიტი ამ სიტყვებით:





# ზატარა ტუსალები

— მეც ისე მინდა მოვიქცე, როგორც ნუშა!

უძაწვილები დაფიქრდნ ამ საქციელსე. მერე ერთ-  
ბაშად ეველამ გაუღეს გალიების კარებები ჩიტებს და  
ისინიც მხიარულათ, ჟივილ-სივილით აფრინდნ.

უძაწვილები გაბრწვინვებული სხსით შესცქეროდ-  
ნენ ტუსად ჩიტებს და ევიროდნ — ვაშა, ვაშა.

ტასო.

(ფრანგულით.)





გულნატკენი მურა.



ორი დააცხრო წიწილას  
მადლობზე, გლეხის კარათა:  
სურდა სავანშმოს წაღება  
შვილების გასახარათა.

წიწილას წამოეძველა  
კრუსი, მოფრინდა ტრიალით,  
მივარდა უწილ მტაცებელს  
თავ განწირული ჩხრიალით!

შეიქნა ოძი, ფიცხელი:  
გაჭკრეს ერთმანეთს ბრჭყალები!  
შვირათ დაუჯდა იგი კრუსს:

სისხლით აფესო თვალები...

ღძერტმა უძველეს ძურასა,  
დროზე მიიჭრა ღრენითა:  
გაბრუნდა ქორი, წავიდა,  
სირცხვილ-ჭმეული, ფრენითა.

კრუსი კი დიდხანს კრეჭუნით  
თავს ევლებოდა შვილებსა,  
თითქოს ნიძანსაც უგებდა  
მტაცებელს, განაწილებსა.

მოლბულაეებდა ძაძალი;  
„მტერს ვერ შევხვდით“, ნანობდა





# გუნდატყეპნი მურა

და გულმოსული ქობორც  
შორიდან მოკაკუნობდა.

შემიკრბენ ირგვლივ ქათმები,  
განსმა სმა ჩოჩქოლისა:  
შეუქეს კრუხს მტრის დასვედრა,  
ფხა და უნარი ბრძოლისა.

მურა კი... იდგა, უმზერდა,  
გადაქცეული სმენათა:  
მას „მადლობაც“ კი არ უთხრეს  
და იყო გუნდატყეპნათა!..

6. ზომლეთელი.







# მაიმუნი „კისი“



ფრიკაში ერთ მოკეზაურს ჰყავდა ზავიანის ჯიშის მაიმუნი, რომელიც მას არ შორდებოდა, ფეხ და ფეხ დასდევდა.

ამ მაიმუნმა იცოდა ფეხების და ნაუოფის მი ძეხნა. როცა ის ნახავდა გემოს და გადააგდებდა — აღრავინ მიეკარებოდა, რადგან ან შხამიანი და ან მწარე გამოდგებოდა. ამ მაიმუნს უძახ-

დენ „კის“, ამან იცოდა კიდევ კაი დარაჯობა. დღე და ღამე ფხიხლობდა და თუ რამე საშიში იქნებოდა იმ წამსვე გამოაღვიძებდა ეველას. ძაღლსე უკეთესათ





ტეობულობდა ეოველ სიფათს, ამიტომაც ნდობა ჰქონდათ და ეველას ამისი დარაჯობის დროს მოსვენებით ეძინათ ხოლმე.

ხანდახან „კისი“ სანადიროთ მიჰყავდათ. როდესაც წასასვლელათ მომზადებას მოჰქეცებოდნენ მის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა. კხა და კხა აცოცდებოდა სეებსე და იქიდან ათვალეოებდა ნადირს. მერე რა ძალიან უეგარდა ნანადირევი! სოგჯერ სეების ფულუროებში და კლდეების ნაპრალებში. პოულობდა თაფლს. მოძებნიდა ფესვებს და სწორეთ სასაცილო იყო ისე იღებდა ამ ფესვებს მიწიდან. ჯერ კბილს მოჰკიდებდა მცენარეს, წინა ფეხებით მოეჭიდებოდა მიწას, თავს უკან გადიგდებდა და ისე კლეჯდა ფესვებს. თუ მანც ასე ვერ მოახერხებდა — კბილებს მოსჭიდებდა ძვრათ მცენარეს, გადაკოტრიბდებოდა და ისე ამოკლეჯდა ფესვებს.

ქურდობა იცოდა. პატრონმა ვერავხით ვერ გადაახვია ქურდობას ერთხელ მისმა პატრონმა ღობიო მონარმა, ქოთანნი ძავიდანსე დასდგა და კარავიდან გავიდა. როდესაც პატარა ხანს უკან ეს კაცი შემოვიდა — ქოთანნი ცარიელი დაუსვდა. მაიმუნი კი სადღაც მიძალუღიყო. ამას ჩვეულებათ ჰქონდა, როდესაც დააშავებდა რასმეს — მიიძალებოდა, ხოლო სადამოხე, ჩაის დროს, გამომჩნდებოდა და მისი სახე ისეთ შეუცოდველ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქოს არაფერი არა ეოფილაო. ძავრამ „კისი“ ამ სადამოს სასლში არ და-





ბრუნდა, მეორე დღესაც არ გამოჩნდა. მისი პატრონი შეწუხდა და იფიქრა რომ მაიმუნი ან დაიკარგებოდა, ან სადმე გზა აერეოდაო.

მესამე დღეს ერთ ამის მოსამსახურეს დაენახა მაიმუნი, მაგრამ იმას შეემჩნია თუ არა ეს კაცი, მაშინვე შორს გაგცეულიყო.

თვითონ პატრონი ძაღლებით წავიდა „კისის“ საძებნელათ; უცბათ მოესმა ამას ჯღავილი დიდ ხის ტოტების უკან. მაიმუნი პატრონს ადვილათ ჩაუვარდა ხელში და იმან წამოიყვანა სახლში. კისს ეგონა რომ პატრონი დასჯიდა, მაგრამ ხელი არ ახლეს.

ერთმა ამ პატრონის ნაცნობმა ვითომ და მოინდომა ამისი ცემა. კისი საშინლათ გაბრაზებული მივარდა იმას და მას აქეთ მოიძულა ის კაცი. თვალის დასანახავათ ეჯავრებოდა, ყოველ მის ნახვაზე მოჭეუებოდა ვიერილს, კბილებს კრაჭუნს და უსათუოდ სახეს დაუზოტნიდა, რომ დაბმული არა ეოფილიყო. ამ კაცს უნდოდა როგორმე შერიგებოდა, მაგრამ კისი დიდ ხანს უარზე იდგა.

მაიმუნის პატრონმა შეამჩნია რომ ქათმის კვერცხები ეკარგება. ეჭვი აიღო რომ ეს კისის საქმე უნდა იყოს და დაუწყო სვერა. როგორც კი ქათამი დაიკაპანებდა კისი მიზნობდა კვერცხის ასაღებათ. ერთხელ პატრონმა მოუსწრო, გამოვიდა უცბათ კარვიდან. მაიმუნმა დაინახა თუ არა. მაშინვე შედგა და ისე დაიჭირა თავი, თითქოს ფიქრშიაც არ გაუტარებია მისი ქურდობა და სურგი შეუქცია ბუჩქს, რომლის ძირსაც იჯდა ქათამი, „კის ეგონა აღარ მხედავსო, მივარდა ბუდეს, ამოიღო კვერცხი, გატყენა და შესვრიპა. პატრონი-





მა დასაჯა, მაგრამ მაიმუნი არ გადაეჩვია ქურდობას და იპარა ახალ დადებულ კვერცხებს. მოთმინებიდან გამოსულმა ჰატრონმა ერთი თავისი ძალი დააჩვია, რომ როგორც კი ქათამი კაკანს მოჭეუვებოდა გაცეკულოდა და ამოეღო კვერცხი. კისი მანც არ დაცნო, ისიც, როგორც კი გაიგებდა ქათმის კაკანს ძაძინვე გარბოდა კვერცხის მოსატყაფვლათ და ამ ორთა შუა კვერცხის გაბო მთელი ომი ატყდებოდა სოლმე. თუმცა ძალდი უკრო ღონიერი იყო „კისი“ სძირათ იმ: რჯუებდა. თუ ძაღლს შერხებოდა კვერცხი — ის ძაძინვე დიდი კმაყოფილი მიუბრუნებდა თავის ჰატრონს. „კისი“ ამ დროს იძანჭებოდა და ბლუდუნებდა. როცა კი კვერცხს ჰატრონის ხელში დაინახა — დამშვიდდებოდა, კისი კი რომ ჩავიდებდა კვერცხს, ძაძინვე მიიძალებოდა ხეებს იქით, შესწავლებდა კვერცხს და ნაჭუჭს ძაღლს თავში ესროდა.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)





## ბერი-კაცი.

ინგილოური ზღაპარი

(ჩაწერილი აპოლონ ინაშვილის მიერ)



რთი საწებლობელი ბერი კაცი იყო. ისა სცხოვრობდა ერთ ანწლის ქოხში თავის ცოლითა და ერთის ქალით. ცოლ-ქმარს რაღაცაზედ უსიამოვნობა მოუვიდათ და გაიფარნენ. ანწლის ქოხი ერთძახეთის ჯიბრით დანაგრიეს. ბებერმა დედაკაცმა აიშენა ფიხური სახლი და იქ გადასახლდა თავისი ქალით. ბერი-კაცმა კიდევ აიშენა მარ-ილ-ქვის სახლი. ძაშინ ძა-

რილი თურმე მეტად ბევრი ეოფილა და არც ფასი ჭქონია მას შემოდგომის წვიმებში ძარილი დადნა და ბერი-კაცს კინალამ თავზედ ჩამოეგრა სახლი. საბრალლო ბერი-კაცს სამთარიც წამოეწია და ფიხური ქოხის აშენებან აბა როგორღა მოასწრობდა. ძლიერ გაუჭირდა საქმე. ადგა და ისევე თავის ბებერს დაეღრიჯა:

„ბებერიო ჯან — ბებერო, შემიძვი შენთან, ვიუიებო!“

ბებერი უარზედ იყო. ქალი შეესვენა მას: „კენაცვა დედი, მამა ცოდოა, შემოვიდესო ბერი-კაცი შემოვიდა. და ჩუმათ, მუნჯივით მიჯდა შუა ცეცხლის ზირას. დედა-შვილიც ცეცხლის მეორე მხარეს ისხდნენ და ბა-

წარს ართავდნენ. ვახშმის დროც მოვიდა. ქალმა მოიტანა ხონხით ზური. ბებერმაც ამოიღო სადუღრიდამ ლობიო და შეექცეოდნენ. ბერიკაცს ჰირძი ნერწყვი მოსდიოდა, ზური ძიან საწყაღს, მაგრამ არ აჭმევენ. მერე წამოაგლო სელი ნატენარს, რომელშიაც დედაბერი ტარს ატრიალებდა ვახშმის წინ, — „ბებერო შენი ჭირიძე, ცოტა ლობიო მეც მომეცი!“ ბებერი ჯერ ხმას არა სცემდა, მერე აიღო და ერთი საწყვენე ლობიო ჩაუსხა, — აჭა, შეხეთქეო.

ვახშმის შემდეგ დედაბვილთ გაიძაღეს ლოგინი და მიეცნენ ტებილს ძილსა. ბერი კაცი იქვე მიწვა. საწყაღს ძლიერა სციოდა, ხან ერთ გვერდს მიუშვერდა ცეცხლს, ხან მეორეს, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერა თებოდა: „უჭ, უუუჭ, უუუჭ! გავიყინე!“ იძახოდა შეწუხებული ბერი კაცი. ქალს ძლიერ შეეცოდა ძამა: — „დედი, გენაცვა, ძამაც აქ დაწვეს“, ეუბნებოდა ქალი დედას, მაგრამ დედა ხმას არ იღებდა. მერე, როცა ბერი კაცი უფრო-და-უფრო მოუმტა ცანცანსა და კენესას, ბებერმა შეუტია, — „რა შავი ქვა გაკვნესებს, მოდი მიეგდე აქ ფეხებთან!“ ბერი კაცი მიწვა ფეხებთან, მაგრამ მაინც ვერ გათბა რიგინანად; მოჭევა აქეთ-იქით ტრიაღს. ქალმა თავისი საბანი გადასურა, სიყვარულით მოესვია ძამას ეელზე და დაუწყო კოცნა. ბებერი გაბუებული იწვა.


ცით ჩამოვარდა საში ვაშლი, ერთი მე, მეორე ზღანარის მთქმელს, მესამე კიდევ ბერი კაცის ქალს.





# რობერტ ფულტონი.

ცეცხლ-მავალ გემის მოგონი.



ალბაქ ნიუიორკის მცხოვრებ-  
ლებს 1807 წელს, თერთმეტ  
მარინამობისთვის თავი მოეუარათ  
ნავთსადგურში. მათ უნდოდათ ენა-  
ხათ ახლათ მოგონიფი გე-  
მი, რომეგლიც წყალში იფ-  
ლიდა ორთქლის მანქა-  
ნის შექმნებით.

წყალთან მოჩანდა თვითონ გემი. მასზედ არც  
იაფქნები და არც ანძები იყო, მხოლოდ თუნუქის სა-  
კვამლეები სჩანდა გემის ბანზე. ეს იყო ჰირველი  
ცეცხლ-მავალი გემი, გაკეთებული მექანიკოს რობერტ  
ფულტონისაგან.

ხალხში გაისმოდა სმა-მაღლივი ღაპარაკი და სი-  
ცილ-ხარხარი. სშირად იხსენიებდენ ფულტონის სა-  
ხელს და მერე მოჭყვებოდენ დაცინვას.

— აი ნახავთ, ეუბნებოდა ხალხს ვილაც მოხუცი  
სრინწიანი სმით, როგორც კი ჩაუშვებენ მაგ ნავს  
წყალში—-მაშინათვე თავისი მანქანით, ბორბლებით



# რობერტ ფულტონი

ჩასძირავს... მშვიდობით ცოლო და შვილო... მე თვითონ  
მეხდებოდა ვარ, თვითონ ვყოფილვარ სომხლ-



დებზე. აბა ვის გაუგონია, რომ რბაც უბრალო მან-  
ქანის შემწეობით შეიძლებოდა წყალზე სიარული.  
აი ნახავთ, რიგორ ჩასძირავს. უეურეთ, უეურეთ, ჩა-  
უშვებს წყალში.

მართლაც, გემი შეინძრა. დაეშვა წელისაკენ და  
ბოლოს სულ ჩაჯდა წყალში. საკვამლეებიდან კვამლი  
ამოუარდა, ბორბლები ამომრავდნ და თითქოს ცო-  
ცხელი არსება, გემი ქშენით მოტრიალდა. გემის ბან-  
ზე გამოჩნდა მისი გამომგონი რობერტ ფულტონი.

— ერთხელ კიდევ გვეითხებით, ბატონებო, ვისა

54057



გსურთ წამომეყუთ? სთქვა სმა ძალდა რობერტმა და მიუბრუნდა შკერებილ ხალსს.

ნაპირზე ატედა ხმაურობა; უსტვენდენ და ევი-როდენ. ამერიკელებმა ასე უზასუსეს თავის თანამემამულეს, როდესაც მან თვისი ცეცხლ-მაჯალი გემის გამოცდა მოისურვა.

გაკვირვებული და სევდიანი უცქერდა ფულტონი ბროსს: უნდობლობა და ზიზღი—აი ჯილდო მის ამოდენა ხნის ნამუშევრისათვის. გემი მძიმეთ, ქმენით მიდიოდა წინ. ხალსი დაიძალა. გზაში სულ ამასალ გამოგონილ ცეცხლ-მაჯალ გემზე ლაპარაკობდენ.

— „ერთი უყურე, რა მოინდომა, ამბობდა ერთი. — გაგეჟდა კაცი, წაჭევეი მას, განა სიცოცხლე მომბეზრებია“.


ამ დროს კი გემი მიცურავდა მდინარის ასავლისკენ.

ფულტონი თავ ჩაღუნული იდგა გემის ბანზე. მიფრინავდა გემი და სურათი სურათზე იცვლებოდა თვალწინ.

ფულტონი ვერასყერს ვერ ამჩნევდა. სსვა და სსვა მოგონებებმა გაიტაცეს იგი: აი ის დაარება სახალხო სკოლაში, კითხულობს, სწერს, დღე და ღამე მუშაობს. დღესასწაულებში რობერტი ხან ერთსახელოსნოში მირბის, ხან მეორეში, ეველგან სწავლობს, ეველგან რამეს ასალს იძენს.

თუ თავისუფალი დრო აქვს, სატავს სურათს,

მერე გაჭედის სოლმე და ფულს თავის საევარელ დედანს  
 აძლევს სახარჯათ. აი უვიდა მან დედანს თავისი ფუ-  
 ლით პატარა სახლ-კარი, თვითონ კი ინგლისში წა-  
 ვიდა სასწავლებლათ. ორი წელიწადი იმუშავა იქ სა-  
 ხელოსნოებში, მექანიკოსებთან. რანაირად შეუევარდა  
 ეს ხელობა. უცებ დაეხდა ახრი გააკეთოს ისეთი ნა-  
 ვი, რომელიც ავლის წულში უიალქნოთ, ბორბლე-  
 ბით, ორთქლის შემწეობით ზენაქარის დროსაც და  
 ქვენა ქარის დროსაც. რაც უნდა ქარიშხალი შეემ-  
 თსკეს. მუშაობს, დიდი სანია მუშაობს ის ამ გამო-



ვონებაზე. ახლა მიზანს სომ მიაღწია—და რა გამო-  
 ვიდა? სიცილით, სტეკანით, შეეგებენ მას და აი მარ-  
 ტოდ-მარტო მიაქანებს მას მისი ცეცხლ-მაჯალი კემი.



გამოიყენებს ქვეყნიურება მის გამოჩნაგონს თუ არა?

ამ დროს გეპი მიადგა ერთ ჰატარა ქალაქს და განჩერდა ნავთსადგურში. აქაც ხალხი გამოვიდა ნაპირზე გემის სანახავად. ფულტონი ამითაც დაეკითხა, უნდათ თუ არა გაჭევენ მას გემით ნიუ-იორკში, მაგრამ აქაც არავინ არ გაბედა გაჭეოლოდა. დიდხანს იდგა გეპი. ბოლოს მოვიდა ერთი მკსავარი. დიდი აღტაცებით დაუსვდა მას ფულტონი, ცრემლები მოადგა თვალებზე, როდესაც ამ პირველმა მკსავარმა მოსცა გზის ფული. რამოდენიმე წამს ფულტონი დასცქეროდა ფულს, თვალს არ აჯერებდა, სომ არ შეეცდომ?

— ეგებ მეტი გერგებათ? ჰკითხა მკსავარმა, როდინახა ფულტონის საქციელი.

— არა, არა, მეტი არაა საჭირო, უპასუხა ფულტონმა, მე ეს ფასი დავნიშნე. მაგრამ იცით რაშია საქმე: თქვენა ხართ პირველი, რომელმაც იჩებეთ გამოსცადოთ ჩემი გამოგონება და ეს ფულიც არის პირველი ხელფასი ჩემი სანგრძლივი შრომისა.

ცოტაცოტა ლაპარაკს შეჭევენ და გამართეს ბასი. ფულტონმა გულ-ახდილათ უამბო თავისი ნაღველი და დარდი. ამოდენა ხნის განმავლობაში რამდენი გაჭირვება ნახა მან, მაგრამ ერთხელ არჩეულ მიზანს თავი არ დაანება და ახლაც დარწმუნებულია, რომ ცეცხლ-მაჟალი გეპი სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.

— ახლა კი, დაბოლოვებ ფულტონმა, — გემი მზად არის, ქალაქიდან ქალაქს მიდის, ეველას ეპატოჟება და მკვარები კი არსად არის!

„ნუ ინადვლებთ“, განწევტინა სიტყვა მკვარება. რამოდენიმე წელიწადი კიდევ და თქვენი გემებით მოიფინება ზღვები და მდინარეები.

ეს სიტყვები ასრულდა. ვინ არ იცის ახლა, რაა ცეცხლ-ძაბალი გემი!

1815 წ. თებერვალში თითქმის



ეველას მცხოვრებლები ქალაქ ნიუიორკისა მისდევდნენ ფულტონის კუბოს. გემებიდან მოისმოდა ზარბაზნების სროლა და ხალხის განუწვევტელი სმაურობა.

ეველას მწუსარებით იგონებდა ამისთანა გამოჩენილადამიანს, რომელმაც კაცობრიობას მოუტანა ასეთი სარგებლობა, მისი სახელი უკუნამდე სსენებაში იქნება.

აღ.

(გადმოღებული)





## მისაბაძვი საქციელი.



ცირე აზიის ერთი მცხოვრები ებაწვილი, რომელსაც სახელათ ერქვა კლეანტი, წავიდა ქალაქ ათინაში სწავლის მისაღებათ. დიდი ხალისი და სურვილი ჰქონდა განვითარებულიყო, მაგრამ ისეთი ღარიბი იყო, რომ ლუკმა ჰურა ენატრებოდა და სხვის თხოვნა არ უნდოდა.

ამიტომაც კლეანტი ერთ მებაღეს დაუღვა დამლაშობით წელის მზიდველათ და როცა მებაღეს საქმე არ ჰქონდა, ეს მიდიოდა ხოლმე ერთ ნაცნობ ძუძა დედაკაცთან და ხელის საფეკვავს უტრიალებდა და ამითი შოულობდა დღიურ ლუკმას. დღითი კი დაიარებოდა ფილოსოფოს ზენონთან და მუყაითად სწავლობდა. კუჭი გამძლარი ჰქონდა და ამიტომ ეოველთვის დონიერი, ჯანმრთელი და ეოხალი იყო.

ათონელებმა ეველამ იცოდენ მისი სიღარიბე და უკვირდათ ამის მხნეობა და ჯანმრთელობა და ერთმანერთს ეუბნებოდენ:—ნეტა თუ რითი იკვებება ეს კაცი, ხომ არასოდეს არ მუძაობს! ბოლოს ეჭვი აიდეს, რომ უსათუოდ რამე უკანონო, აკრძალულ საბავლობას ჩადის და იმითი შოულობს გამოსაკვებ ფულს.



საქმე იქამდის მივიდა, რომ კლევანტი მსაჯულების წინ უნდა წამდგარიყო და თავი გაემართლებინა.

კლევანტი დაუყოვნებლივ გამოცხადდა მსაჯულთა წინ. იქ საჯაროთ უთხრეს, რომ დაბეჭდებულა. აბრალებდენ, რომ საკვებაჲ ფულს საიდანღაც მოუღობს და თავი უნდა გაემართლებინა. კლევანტიმ წარუდგინა მოწმეები—ძებალე და ნაცნობი მუშა დედაკაცი. იმათი ჩვენებიდან სჩანდა, რომ ეს ემაწვილი ღამდამობით იმათთან მუშაობდა და იმითი იკვებებოდა. მსაჯულნი აღტაცებაში მოვიდენ ამისთანა საოცარი შრომის მოყვარეობით, მისაბამ საქციელით და ემაწვილის ძტვიცჳე სასიათით. დამსწრე საზოგადოებამაც მოინდომა მვირფასი საჩუქრით დაეჯილდოვებინა შრომის მოყვარე კლევანტი, მაგრამ ემაწვილი კაცის მასწავლებელმა, ფილოსოფოსმა ჴენონმა ნება არ მისცა, რომ ამას საჩუქარი მიეღო და ამითი დაიცუბა ახალგაზრდა კაცის სწეობრივი სიფაქისე და მისაბამი საქციელი.

(ფრანგულთ)








# გიგუცა და ეურძნის აკიდო.

(სოფლის ცხოვრებიან)



ატარა გიგუცას ეურძენი ძაღლიან  
უეუარდა და განსაკუთრებით კი  
ეურძნის აკიდო. დღე და ღამე,  
ძილშია ც და ფსიზლობის დრო-  
საც, სულ ეურძნის აკიდო ელან-  
დებოდა; ღამე ძილში ხშირათ წა-  
ძოიძახებდა: „ძიქციოთ დანა,  
ეურძნის აკიდოები უნდა დაე-

სჭრაუო“, მძინარე ბავშუს დედა მოეაღერებოდა ხოლ-  
მე და გიგუცაც ისევე ტკბილათ ჩაიძინებდა; მეორე  
დღეს დედ-ძამის დაუკითხავათ გიგუცა ვენახში დაიბა-  
დებოდა თავისი დანით ან სასხლეებით, ამოარჩევდა  
ძწიფე ეურძენს, ასჭრიდა აკიდოებს, ზოგს თითონ  
სჭამდა და ზოგსაც მეზობლებს ბავშვებს აწვდიდა.

გიგუცას ძამა, ბესო, ვენახში რომ ჩავიდოდა ერთს  
ამბავს დაწვევდა: „ვინ არის ეს არამზადა, რომ ჩემ  
ნაოფლარ ვენახს აოხრებსო?“ გიგუცა იმ ზომასევე  
ძიქვია ეურძნის ჰარვას, რომ თუძცა ძამის ძრისსანე  
ევირილი ეეურებოდა, ძავრამ არ იძლიდა, გადაიბა-  
რებოდა ხოლმე ვენახში და ასე განდა თავისივე ვე-  
ნახის ქურდი.



ერთხელ გამწარებულმა ბესომ საფანტით გატენა თოფი და ჩაესაფრა ვენახში ქურდის დასაჭერათ და კასასამართლებლათ. სწორეთ ამ დროს გაწუწკებულნი გიგუცა გადაეკლო ვენახის ძალალ ღობეს და გაჩნდა ეურძენში; ბესოს შემოესმა ბავშვის ფენის ხმა და სწრაფლათ მიამახა: „ვინა ხარ, შე ძაღლო, რომ ეს ერთი მოსახლე კაცი ამომაგდე, ესლა კი სადლა წამიხვალა?!“ და ბესომ მოიძარჯვა თოფი და ის იყო უნდა გაესროლა. გიგუცამ დაინახა ძამა, შეშინდა და მიაფერია: „ძამა, ძამილო, შე ვარ, შენი გიგუცა, ნუ მომკლავო“. გამძაგებული ბესო ერთხანს შეჩერდა, თვალებსედ ბური გადაეკრა, თოფი ძირს ჩამოაკდო და მერე, როცა მოვიდა გონს, მივარდა გიგუცას და მოათრია სახლში დედასთან: „აი დავიჭირე ჩემი ვენახის ქურდი, რას უეურებდი, ადამიანო! ამ ლაწირაკმა ვენახი ამოაკდო და შე მქსობლებს ვაბრალებდი და ქვეენის ცოდვა დავიდევო; ტყუილა კი არ არის ნათქვამი, რომ „მომძარავმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა კი ათასიო“.

გიგუცა ამ დროს შეშინებული იდგა, ფერი უკლიდა, სირცხვილით ხან გაწითლდებოდა და ხან გაუვითლდებოდა, მისჩგრებოდა დედ-ძამას, თითქო ინანიებდა თავისს დანაძაულს. ძამამ რომ მოიბრუნა გული, ეურები მაგრად დაუსრისა და დაემუქრა კვლავ მასწავლებელს ვეტევიო, სკოლიდან დაგითხოვენ და აღარც შინ მიგიღებთო. გიგუცამ ისირცხვა ქურდობა



და აღარც კი ჰქონდა ხალისი ვენახში შესვლისა.  
 როდესაც მოიხარდა თავის თავსე ლექსიც გა-  
 მოსთქვა:


„აკიდო მიევარს უურძნისა,  
 აკიდო, აკიდელაო,  
 სანამ მინდოდა, ვიგებე  
 ოდელა, დელი-დელაო.“

მამა ჩემმა კი ერთსელა  
 საფანტით თოფი ტენაო;  
 გვიან შემიტეო ქურდობა,  
 ოდელა, დელი-დელაო.“

ესლა ჭკუბში ჩავვარდი,  
 ბავშვი ვარ ამოტელაო;  
 დემერთმა ქურდობა მაძოროს,  
 ოდელა, დელი-დელაო.“

მღვდ. ბეს. ვაშაძე.






დასტკერდით ამ სურათს და ამიწერეთ მკუჯეთ. ვისი ამბავია საუკეთესოთ  
იქნება დაწერილი—სახეურად მიიღებს მათხრობას „ლედი ჯენს“.





## უჯადო ჯადოსნობა



სშირად, ძალიან სშირად სე-  
დავთ ბუნების ისეთ მოვ-  
ლენას, რომ სწორეთ იტე-  
ვით ჯადოსნობაო.

ბიძა ჩემს სოფელში ჰქონ-  
და კარგი ჰაერის სიმძიმის მახვენებელი (ბარომეტრი).  
ბევრს თქვენგანს გენახებათ ეს ჰაერის სიმძიმის მა-  
ხვენებელი. ჩვენი სოფლის ხალხი ამ ჰაერის სიმძი-  
მის მახვენებელს უძანის ჯადოსანს და აი რატომ!

ერთსეჲლ გლეხები მივიდენ ბიძა ჩემთან და უთხ-  
რეს:

— სხალ ვაჰირებთ, ბატონო ჩვენო, გათიბვას,  
მეზობლები გვინდა დავინიროთ და არ ვიცით ამინ-  
დი შეგვიწურობს ხელს თუ არა, წვიმისა გვეძინიან.

ბიძა ჩემმა შესედა ჰაერის სიმძიმის მახვენებელს  
და თქვა:

— დილით უსათუოდ წვიმა იქნება.

— მართლა!.. მერე საიღამ იცით? დაგვიოხა ერ-  
თი გლეხი.

— აი, ეს ჰაერის სიმძიმის მახვენებელი მეუბნება.

— ეკ ჯადოსანია?

მას აქეთ ჰაერის სიმძიმის მახვენებელს (ბარო-



მეტრს) სოფლელებმა დარქვეს „ჯადოსანი“ სპირდ მოდიოდენ გლეხები ბიძა ჩემთან და ჰკითხავდენ.

— ჰური მოსამკალი გვაქვს და წვიმისა გვემინიან. რას ამბობს შენი „ჯადოსანი“, ბატონო?

— იმას ამბობს, რომ ცოტა მოცდა დაგჭირდებათ, — ეტყობდა ბიძა ჩემი სიცილით.

ერთხელ მოვიდენ გლეხები საკითხავათ და როცა ბიძა ჩემმა უთხრა, რომ უსათუოდ იწვიძებსო. — ძამასასლისმა შენიძნა:

— შენი „ჯადოსანი“ ძართალს ამბობს, წელან რომ გამოვიარე სოფელზე ძაღლი ბალახს სჭამდა და ევავი სასლის სასურბავზე იჯდა და საშინლათ ჩხაოდა. დაჯდოლი მაქვს, ღამე უსათუოდ წვიმა მოვა.

ხოცი გლეხი მოჰყვა სიცილს.

— ხედავ! ევავი თურმე ძუშაობის ნებას არ ამლევის...

ბიძა ჩემმა ამაზე უთხრა:

— ნუ იცინით, ძმებო, ამაში ძართალი ურევია. მხეცებიც, ფრინველებიც, მწერებიც „ჯადოსნები“ არიან, სოლო უჯადოთ. როგორც არის ძაგალითათ ჩემი „ჯადოსანი“

ძველ დროიდანვე მოსუცებულები ცნობილობდენ გაავდრებას ჰირუტეების შემწეობით, მაგრამ ეს ძიანნდათ ეველას ცრუმორწმუნოებათ და ბუნების ძაღლის საწინააღმდეგოთ.





ნასწავლძა კაცებმა ეველაფერი გამოიკვლიეს და დაწმუნდენ, რომ აქ ცრუმორწმუნოება არაფერ შუაშია: ეველაფერი რაც ხდება—აგრეც უნდა მოხდეს და ეველაფერს თავისი განსაკუთრებული კანონები აქვს.

ავდრის წინ ეველა სუსტი მარღვებიანი ადამიანი, ზირუტევი, მცენარე—გრძნობს რაღაც მოუსვენრობას, აღელვებას. ამ მოუსვენრობას ავდრის წინეთ იმიტომ გრძნობენ, რომ ჭაერი იცვლება. ჭაერი არტეია ირგვლივ დედა-მიწას, მაძასადაძე, ეველას—ვინც ზედ დედა-მიწაზე ცხოვრობს. ჭაერი დედა-მიწის გულისკენ იწევა, ამიტომ აწეება მას და ეველაფერს, რაც ზედ იმეოფება. ასე ჭაერის ზედა ზირი აწეება ქვედა ზირს და ქვედა ზირი კი აწეება თავის მხრით დედა მიწის ეველა საგნებს. მშრალი, ცივი ჭაერი უფრო მეტათ აწეება, ვიდრე თბილი, ნოტიო და სველი ჭაერი.

ამ საფუძველით გააკეთეს ჭაერის სიმძიმის მახვენებელი, რომელიც გვატეობინებს სასოგადოთ ჭაერის დაწოლას და ავდარსა. როდესაც ვერცხლის წყალი ამ ჭაერის სიმძიმის მახვენებელში მალლა ავა—ნიძნავს, რომ მშრალი და კაი დარი უნდა იყოს. დაიწევეს თუ არა ვერცხლის წყალი ძირს—დარი უნდა იყოს ნოტიო, წვიმიანი და ღრუბლიანი.

თუძცა ჭაერი ძალით აწეება ეველაფერს, მაგრამ რადგან ჩვენში, როგორც ეაველ საგანში, არის ცოტა ძანც ჭაერის ნაწილი, რომელიც თავის მხრით



ასუსტებს ამ დაწოლას—ეს ჭაერის დაწოლა ადამიანისთვის აგრე რიკათ საგრძნობელი არ არი.

როდესაც კაი დარი იცვლება ავდარზე—ეს ჭაერის დაწოლა მცირდება; ამისთანა უეცარ ცვლილებას ძალა უნებურათ ეველა გრძნობს.

ეველა სხეულში მოიხვევა ისეთი ფოსოები, რომელშიც არის მოთავსებული ჭაერი. როდესაც ჭაერი გარედან ნაკლებათ აწვევა სხეულს, მაშინ ის შიგნიდან უფრო მეტათ აწვევა, მეტადრე მეცლის ფოსოებში. ესე იგი ჭაერის ნაწილები გაჭებრავს ფოსოებს და მაშინ მეცელიც გამოიბერება. რამდენიც მცირდება გარედან ჭაერის დაწოლა, იმდენათ შიგნით ფოსოებში ჭაერისაგან მეცელი განიერდება. ამისაგან წარმოსდგება უსიამოვნო, მოუსვენარი გრძნობა, და რომ ადამიანმა და ზირუტეკმა შეიკავონ ეს მეცლის გამობერვა—უნდებათ დიდი ძალღონე. ამიტომ ზირუტეკებიც და ადამიანებიც თავიანთ უნებურათ ეღვეულ ღონის მიებას სძარბენ, რომ შეიკავონ ჭაერი და ამითი სუსტდებიან, ჭკარგაკენ ძალას, გრძნობენ მოუსვენრობას, თავს აწვევებენ და იტანჯებიან

ამ ჭაერის ცვლილებას ეველასე მეტად გრძნობენ ბაყაები. თავიანთ მოუსვენრობას და აღელვებას აცხადებენ საშინელი სმა ძალღივი ყიყინით. მართლაც ეველამ იცის, რომ ბაყაეი ჩუმათ მაშინ არის, როდესაც ჭაერი მშრალია და წვიმის წინეთ კი, როდესაც ავდარი დააპირებს—მოჭევიბიან ყიყინს.





მერცხლები დაფრინავენ სულ ძირს და წელის ზირათ, როდესაც ჭაერი ძძიძე და შეკუძულია, რადგან მაშინ ძირს ფრენა უფრო უადვილდებათ.

უვაგებიც მაშინ მოუსვენრად დაფრინავენ და ჩხავიან. აგრეთვე ეძარტებათ სხვა ფრინველებსაც. მამალიც კი გრძნობს ამ ჭაერის ცვლილებას. ფრინველებს აქვთ კან ქვეშ, ძარღვებ შუა ჰატარა უჯრები ჭაერთ სავსე, რომლის წყალობით ჭაერში დაფრინავენ. ეს უჯრები ფილტვებს უერთდებიან და ამიტომ ჭაერის ცვლილება ამათზე ძალიან მოქმედობს.

ამინდის გამოცვლის წინეთ სუსტი ძარღვებიანი კაცები და ეძაწვილები ანჩხლობენ და შფოთაძენ, მოძრაობა ეხარებათ, ძილი ერევათ, არც მუშაობა, არც თამაშობა ეხალისებათ, ზოგი ავათაც ხდება. ასე მოქმედობს ჭაერის გამოცვლა.

ავდრის წინეთ ძალი საზრმაცდება, მოდუნებულია, სულ ეძინება—ცხვირს ჩაჭყოფს ხოლმე. ბალახში, გლეჯს მას, და უნდა ამითი ცოტა მანც გაგრილდეს.

კატაც დაჯდება ხოლმე ფანჯარასზე და მოჭეუება ზირის ბანას, ენით ისველებს თათებს, ცხვირს, ზირის სახეს. ამითი იქნება გაგვრილდეთ, ეველა ამას თავის უნებურათ ჩადის.

მელორე მინდორში ველარ იკავებს ღორებს, ისინიც გრძნობენ ამინდის შეცვლას და თავს აწევეტენ აქეთ-იქით.

მწერებიც: ბუხები, ობობები ატეობენ ჭაერს გა-




უჯადო ჯადოსნობა

მოცულან. ბუხები ძლივს იძვრიან, ერთ ადგილას სხედან, სძინავთ. წვიმის წინეთ ობობები ქსელს არა ქსელავენ, ძალას ჰკარგავენ, ეძინიანთ—ვაი თუ მსხვერპლს ვერ მოვერიოთო და კუთხეებში ცძალებიან.

ჭაერის ცვლილებას მცენარეებიც გრძნობენ. საუურედლებოა სოკიერთი მცენარის ამბავი. მაგალითათ ღინჭას ამბავი. ავღრის წინ ფურცლებს ძალა ეკარგება და ევაჟილი იკუძმება. გადიღარებს და ევაჟილის ფურცლები ისევე გაიძმება.

ხომ ხედავთ, რომ „ჯადოსნობა“ აქ არაფერ მუაშია. ვეკლას უცნაური მოვლენა, რომელიც თითქოს ჯადოსნობით ხდება წარმოსდგება ბუნების კანონებით და იმ წესით, როგორითაც იწვევს ბუნების გარეშე პირობები.

(გადმოღებული)      ან. წერეთლისა.







# სურათი.



აქვარდ ცაში  
მზე ჰრწყინვალებს;  
სხივებს აფრქვევს  
მთის მწვერვალებს.

ტბა კამკაშებს,  
ლოურჯათ ბზინავს;  
ზედ მერცხალი  
მიმოფრინავს.


თვალ-უწვდენელ გაშლილ ველათ  
მიმოჰქროლავს ლალი სიო  
და შოშიას წასჩურჩულებს:  
ტყის მღერალო, ნუ კვნესიო.

ღელავს ველი...  
ტყე შრიალებს;  
ბულბული ვარდს  
დასტრიალებს.

იგიც აღერს  
მონაწყური;  
თრთის ციურ  
ცვარ დანაპკური.

დილის მეჯლისს ფრინველებმაც  
შეუერთეს ჭიკჭიკ-სტვენა;  
და გამეფდა ყოველ მხარეს  
სანატრელი შვება ღხენა.

გ. ქუჩიშვილი.



## ბუნების წიაღში.



ოტე და დიმიტრი ქალაქ თბილისის მცხოვრებნი იყვნენ და სწავლობდნენ ერთ-ერთ გიმნაზიაში. გაზაფხულზე, რომ დაითხოვდნენ ხოლმე მოწაფეებს დასასვენებლად, კოტე და დიმიტრი თბილისში რჩებოდნენ, რადგან მათი დედ-მამა შეუძლებელი ხალხი იყო და სააგარაკოთ ვერსად მიდიოდნენ ისინი ჩვეულებრივ ერთფეროვან ცხოვრებას შეჩვეული იყვნენ. მაშინ, როდესაც მათი მეგობარ-ამხანაგები ხავერდით დაფენილ სოფლის ვრცელ ველებზე თავისუფლათ დანავარდობდნენ და სტკებოჯენ ბუნების სიდიადით, მუდამ ზაფხულს თბილისში დარჩენამ, სადაც ისეთი სიციხის ბული ტრიალებს, გეგონებათ მთელი ქალაქი უზარ-მაზარ გავარვარებული თონეზეა გაშენებულიო, უშედეგოთ არ ჩაიარა. მათ ნორჩ ქორჟა სახეს სიყვითლე შეეპარა, ხორცი დააკლდათ, ძალ-ღონე შეუსუსტდათ და ბავშური სიცოცხლის გამომეტყველი ხალისი მალე დაეკარგათ. ზაფხული მათთვის ამ გვარად მიმდინარეობდა: ან უნდა ყოფილიყვნენ შინ ჩაბნელებულ ჩანესტიანებულ კედლებ შორის, ან და მტვრიან ქვით მოკირწყლულ მორახრაზე ქუჩაში, სადაც გარყვნილობის მეტი ვერა იპყრობდა რა მათ ყურადღებას.

სექტემბერში, მათი ამხანაგები სოფლებიდან ჩამოვიდოდნენ ძალ-ღონე მომატებულნი, დამშვენებულნი და გონება დასვენებულნი მკვირცხლათ მოუყვებოდნენ ერთმანეთს იმას, თუ როგორ ატარებდნენ ზაფხულში დროს, ვისთან



ჰქონდათ მეგობრობა, რომელი მხარე სოფლის ბუნებისა უფრო იპყრობდა მათ ყურადღებას და სხვა.

— რა დრო გავატარე, ბიჭებო, რა დრო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ— დაიწყო ილომ, როდესაც ერთად შეგროვილ ამხანაგებს შეხვდა.— მზიარულებას რომ იტყვიან, სწორეთ თევზაობაშია— აი სწორედ.

„ბიძა ჩემს ერთი ბაღე ჰქონდა, რომლის სიგანე ჩვენი ნახევარ კლასის ოდენა იქნებოდა და იმით იჭერდა თევზსა. როცა დააპირებდა თევზაობას მეც შემატყობინებდა, რადგან მან კარგათ იცოდა, რომ თევზაობა ჩემთვის ტრფიალს შეადგენდა. შებინდებოდა თუ არა გავეშურებოდით ალაზნისკენ. შუა ღამე იქნებოდა მოტანებული, როდესაც ალაზნის მივადგებოდით. ბიძა ჩემი ჩამოიხსნიდა ზურგიდან ბადეს და დასასვენებლად წამოჯდებოდა მე კი აბა რა მომასვენებდა? მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი ვიყავი, ჩვენი სოფელი ხომ შვიდ ვერსზე მდებარეობს ალაზნიდან, აღტაცებული გავყურებდი მთჳარის სხივებით განათებულ მდინარის ზვირთებს ოხ, რა სურათებს არა ვხედავთ იქა, აი, გადაგორდა ერთი ზვირთი, მას მოჰყვა მეორე, მეორეს მასამე, ქვედი ქვედს მიეჯახა და ვიშ ნეტარებავ! ზილუების დივილიფში თევზი კი დავინახე. რა ღამაზი, რა მომხიბოავი იყო ის იმ წუთებში. ბროლივით თეთრი, აღმასივით სპეკალი ზილუები და პატარა ღამაზი თევზი, რომელიც ისარივით მისრიალებს წყლის ზვირთებში, მისრიალებს თავისუფლათ, არა აქვს არავის შიში და რიდი.

„მე მალი-მალ ბიძა ჩემთან მივირბენდი და ვეტყოდი: ძია, გეყოფა დასვენება, შეუდგეთ თევზაობას მეთქი. ბიძა ჩემი ფეხს არ იცვლიდა „რა გვეჩქარება, ჯერ კარგა გატყდეს ღამეო“. ბოლოს, როგორც იყო წამოდგა ზეზე, ახსენა ღმერთი, ვადიწერა პირჯვარი და წარმოსთქვა: „ღმერთო და ბედო ეს ილოს იღბალზეა და აბა ხელი მომიმართეო“, და გადაისროლა ღონივრად. არ გაუვლია კარგა ხანსა, რომ ბადემ ტოკვა იწყო. ძიამ ნელ-ნელა მიზიდა თოკი და ერთი უზარმაზარი ორაგული კი ამოჰყვა ბადეს; სიხარულისაგან არ ვი-

ცოდი რა მექნა. მოვავლებდი ხელს თუ არა — ორ ალაბზე მაინც გადმისხლტებოდა. ვაიმე ძია, თევზი გამისხლტა მეთქი, წამოვიძახებდი შეშინებული. ბიძამ დამამწვიდა და მითხრა: „თევზი არსად გაეცქცევა, ისა სჯობია ერთი ამ ქალის პირას შემოირბინო, ხმელი შეშა მოაგროვო, ერთი კარგი ვახშამი ეკამოთო“. მე თუმცა შემაფიქრიანა ქალისკენ გავლა მართოთ-მართომ, მაგრამ რას გიზამდი. ბიჭს — კაცობაში თავი მომქონდა და როგორ გავამხელდი.

ილო რომ ამას ლაპარაკობდა, ერთ მის ამხანაგს, ტიტოს, უკვე დაეწყო თავისი ამბავი, როდესაც კარგა მსმენელები შემოკზხვეოდნენ.

— ჩვენებს რა თავი მოვაბეზრე სიცვლქითა, ერთხელა საქვეს: მოდი ე ბიჭი ორიოდე კვირით ჩვენ მთიულ ნათლი-მამასთან გავგზავნათ. პატარა მაინც მოვისვენებთ მისგან ილაჯ წართმეულნიო.

რა მოვკარ ყური ამ სიტყვებს, გიყვარდეს სიხარული რომ მე ვიგრძენი, მაგრამ მათთან რა გამომაჩენინებდა. იმის შიშით რომ არ გადაეთქვათ თავიანთი სიტყვები. თქვეს და აასრულეს კიდევ. ერთ მშვენიერ დღეს მე ცხენზე გადამჯდარი აღმართ-აღმართ მივჩოცინებდი მთისკენ

„ბინდ-ბუნდი იქნებოდა, რომ მთებ შორის გამოჩნდა გაკაფული ადგილი მთიულთა ქოხებით. შორით-შორს გაისმოდა მინდვრიდან დაბრუნებულ საქონლის ღმუილი, მაგრამ მე სოფლისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მე გამიტაცეს ტყეში არეულმა ფრინველებმა. მერე რა ჯურისა არ იყვნენ დედა ჩემო. აი აქ შაშვა ქაჩახებს, იქით ბულბული სადიდებლად გაჰკივის. ბიჭა-გოგია რაღაცას სასოებით გასძახის. აი ქედნებიც აიშალენ და გუნდ-გუნდათ გასწიეს დიდ თელასკენ. ვხედავდი ამას და ვამბობდი. ეს კარგი სანადირო ადგილი ყოფილა მეთქი. რომ მიველი ჩვენი ნათლი-მამა სიამოვნებით გამომეგება: „ვენაცვალე ჩვენ ნასწავლ ნათლულს, ნახვის ღირსი გაგვხადაო“ და შემიწვია სახლში. შევედი თუ არა, თვალი მოვკარი კუთხეში ჯიხვის რქაზე დაკიდულს ყირიმის თოფს და მაზე დამრჩა თვალი. მე მაშინ მასპინძლების





შეკითხვისა არა მესმოდა რა, ბოლოს ვეღარ მოვიხივინე და უთხარი: ნათლი, ი რა კარგი თოფი გქონიათ, ხომ მათხოებ. სანადიროთ მეთქი ნათლი-მამას თუმცა არაფრათ ექაშნიკა ჩემი თხოვნა, (წემდეგ გავიგე, რომ საშინლათ ეჯავრებოდა ბავშვებისთვის იარაღის თხოვბა), მაგრამ რას იზავდა. „ნასწავლ“ ნათლულს ხომ ვერ აწყენინებდა. მხოლოდ ეს კი მითხრა, რა გქნა, ჩემო საყვარელო ნათლულო, დაწიხვდა იცის ი ვერან-მა და არა გავნოს რაო. მაგრამ მე ისეთი საყვედურის თვალით შევხედე, რომ მაზე სიტყვა აღარ გაუგრძელებია. მეორე დილითვე გავუდექ ტყესა.

ზაქრო ცოტა ხნით შესდგა, რათა მოეკრიბნა ძალ ღონე ტყეში ნანახ შთაბეჭდილებითა გადმოსაცმათ, მაგრამ სკოლის ზარი დაირეკა. ზაქრო უგემურად დაიბრანქა. არც დანარჩენ მოწაფეთ ესიამოვნათ ულაგო ალაგას ამბის გაწყვეტა. მაგრამ რას გააწყობდენ. ყველა თავ-თავიანთ კლასისკენ გაემართენ. ისმენდენ ყველა ამას კოტე და დიმიტრი და ვერ წარმოედგი ნათ, თუ რა იყო ისეთი აღტაცების გამომწვევი, ისეთი საჩეტარო და სახარბიელო, რომ ყველანი მაზე ლაპარაკობენ. ან კი რა გასაკვირველია, როცა მათ მტვერით შეგინგლულ ალ — ეს ბალის მეტი არა ენახათ რა.

\* \* \*

გამუდმებულმა თბილისში ცხოვრებამ, ყმაწვილები დაასუსტა, ფერი დაუკარგა და ავადმყოფობა შესძინა. გონივრულად მუშაობა ხომ ერთობ გაუძნელდათ. გაკვეთილებს ისე მალე ვერ ითვისებდენ, როგორც მათი ამხნავები. ხშირათ აკლდებოდენ კიდევ. ყველა ეს სკოლის ექიმს არ დარჩა შეუმჩნევლათ და ურჩია მათ მშობლებს საზაფხულოდ უსათუოდ სადმე საავარაკოდ გაეგზავნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში არა სასიამოვნო შედეგები მოჰყვებო. მშობლები საშინლად შეაწუხა ექიმის სიტყვებმა და გადასწყვიტეს ყოველი ღონის ძიება ეხმარათ და მაისის ბოლო რიცხვებში კი უსათუოდ სადმე გაეგზავნათ.

\* \* \*

რიჭრაჭი იყო. შავის ღრუბლებით დათალხული აღმოსავლეთი თან და თან წითლდებოდა, უკუმეთ წყვიადს ფერი

ეკარგებოდა. აგერ რამდენიმე სხივი შურდულივით ამოცურდა კავკასიონის მთებიდან, მას მოჰყვნენ დანარჩენნი და ააფლავრეს ვერცხლის სხივებით აღმოსავლეთი. წუთიც და თვით მნათობთა-მნათობმა ამოაცურა თავისი ნავი მტრედის ფერ ცაზე. ცამდე აზიდულ ცივ-გომბორის მთის თხემებს შარავანდედის გვირგვინი დაადგა და შემდეგ დაეშვა ალაზნისკენ, რომ მის მოდუდუნე ზვირთებში გაბანებულიყო, რომ უფრო გასხივოსნებული სწვეოდა მიძინებულ სოფლებს ამბორის საყოფლად. სწორეთ ამ დროს, გომბორის წვერზე გადმოდგა ორი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელთა გაყვითლებული სახე მზის სხივებისაგან გაბრწყინებულყო და ოდნავი ღიმილი უქროდათ პირზე. ესენი იყვნენ კოტე და ღიმიტრი- მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ნესტოები გაჰბეროდათ, გული გაფართოვბოდათ და სულ წინ მიიწევდნენ. გადახედეს თუ არა ბუნების ათასნაირ სურათებს, ორთავეს აღტაცების გმინვა აღმოხდათ. ეს იყო პირველი მათი სიამოვნება, იყო პირველი გატაცება ბუნების სურათის სიდიადით. ისინი თვალს ველარ უჯერებდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ნუ თუ ყველა ეს მართალია, ცხადია და არა მოჩვენება-მოტყუილება? ბუნებაც თითქოს მიმხვდარიყო, რომ აძალ-გაზრდანი პირველად ხედავდნენ ამ სიდიადეს, და უფრო მომხიბლავი სახე მიეღო. აი, უზარ-მაზარ მათაა შუა გადაჭიმულია ხავერდის ნოხივით ველი, რომლის პირზედაც გაფენილი საქონელი ცვარ-ნამით ნაპკურ ბალახს ნოყიერათ შეექცევა. აქა იქ ელვის სისწრაფით გააპობს მაღალ ბალახს ყურებ დაკვეცილი კურდღლის ბიჭია უღრანი ტყიდან მოისმის ფრინველთა დამატკობელი მელოდიები. ზოგი ფრინველები ცაში კამარას აკეთებენ და შესფრთხინვიან-შესტრფილებენ საქყაროს. ხოლო შადრევანივით ამომსკდარი წყაროები, ლუკ-ლუკით მიისწრაფიან დაბლობისკენ. შორს-შორს მოსჩანან ყვარლის მთები „რომლის სიდიადე კაცსა გვრიდა კანკალსა-ურჯოლას“ ერთი ნაგლეჯი ბამბის ქულასავით გადაშლილა და მისცემიანეტარ-ოცნებას. ჩვენი მეგობრები დიდხანს სტკებოდნენ მშვენიერი სურათების ხილვით და ხარბად ისუნთქავდნენ წმინდა შთამბერ ჰაერს. მათ გულში თან




და თან ღვივდებოდა ნაპერწკალი თავის ქვეყნის უზომო სი-  
 ყვარულისა.

„ვიმ მშვენიერებავ! უცბათ აღმოხდათ გულიდან ორთა-  
 ვეს. აი, სად ყოფილა სიცოცხლე და ნეტარება. ჩვენ კი გო-  
 ნებას ვიზნობდით ქვაბივით ჩავარდნილ აშმორებულ თბილი-  
 სში. „ტურთავ, ტურთავ ჩვენო სამშობლოვ!

და ისინი აღტაცებულნი გადაეშვენენ ხავერდის ქათბით  
 მორთულ—მოკაზმულ მინდვრებისკენ.

დ. თურდოსიჩელი.



## „ხე ცხოვრებისა“

დასასრული



ავიდა ოთხი თვე. გრაფის მეუღლეს ჯან-ში ამერიკული სენი შეეპარა. სენი თან-და-თან ფეხს იკიდებდა ავათმყოფის ჯან-ში. ისპანელი გამოცდილი მკურნალი ყვე-ლანაირ წამალს აძლევდა, რაც კი მაშინ-დელ დროს მკურნალებმა იცოდნენ, მა-გრამ სენი თან-და-თან მძინვარებდა. სა-შინლად სწუხდა გრაფი. ანნასაც მეტად უჩქროლამდა გული მეგობრის ავადმყო-ფობის გამო.

ავადმყოფი წამს სიცივისაგან ბაბანებდა, წამს სიცხისაგან იბუგებოდა; მკურნალი თავსა იქნევდა და ამბობდა: „მოწამლული თუა, თორემ ეს რა ამბავია, რომ არა წამალი არ უდგება?!“

— მოწამლულიო! შეშფოთდა ანნა. ვის შეეძლო მერე მოწამვლა! ვინ მოიქმედებდა ამ საშინელ საქმეს! გარშემო სულ ერთგული ხალხი გვახვევია. ერთად ერთი ზუმაა აქ უცხო... ნუთუ ზუმამ გაბედა რამე?.. ზუმას კი გული უკვდებოდა. . უკვდებოდა იმიტომ, რომ თავის კეთილი ქალბატონი წრფელის გულით უყვარდა; წამალიც იცოდა და შველა კი არ შეეძლო! არ შეეძლო ამ წამლის გამხილება—არ შეეძლო ხალხის საიდუმლო გაეცა! დიდ წვალებაში იყო საცოდავი ზუმა და თავის სიკვდილსა რჩებოდა, ვიდრე ამ ცეცხლში ყოფნასა!.. ზუმას კარგად ახსოვდა ინდოელების გაფიცვა! ერთი სიტყვაც რო დაეძრა ქინაქინის ქერქზედ, მაშინვე უღმობელი სიკვდილით ამოსწყვეტამდენ მთელ მის ოჯახს, მის საყვარელ უმანკო შვილს წამსვე სულს ამოხდიდნენ! ზუ-





მას თავის თავი არ ენანებოდა—ენანებოდა ქმარი და უმანკო შვილი! ზუმა ჩუმად, უსიტყვოდ იტანჯებოდა. გრაფის მეუღლე უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. გრაფი და ანა სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. მკურნალმა გადასწყვიტა, რომ სიკვდილი აუცილებელია.

გრაფის მეუღლეს სრულებით არ ეშინოდა სიკვდილისა; მხოლოდ მეტის მეტად ენანებოდა საყვარელი ქმრისა დი მეგობრების მოშორება. ზუმა ხომ ძალიან ებრალებოდა, ფიქრობდა—ვაი თუ ჩემსავით აღარავინ იზრუნოს იმისთვისაო.

ერთბაშად ძალიან ცუდად იგრძნო თავი ავადმყოფმა—ეგონა ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღეო; მოიხმო ქმარი, მეგობრები და გულგასაგმირავი სიტყვებით ეხვეწებოდა არ შეეწუხებინათ ინდოელები, უსამართლოდ არ მოჰქცეოდნენ... არ დაეჩაგრნათ... ეხვეწებოდა აგრეთვე ზუმასთვისაც ეზრუნათ და ესეც არავისთვის დაეჩავგრინებინათ.

ეს ყველა ესმოდა ზუმას და მწარედ იმდუღრებოდა.

\*

უკანასკნელ ხანებში ზუმაც კი ვერ იყო კარგადა: ამასაც ციება სჭირდა და ცალკე ციებამ, ცალკე ქალბატონის ავადმყოფობამ და ცალკე საშინელმა სულის მღელვარებამ სრულებით ქანცი მიუწყვიტეს საწყალ ინდოელ ქალსა და მიღრწნული-და დადიოდა. მირვანმა გაიგო თუ არა ცოლის ავადმყოფობა—თემის დაკითხვით ცოლს ერთი დაღვევა ქინაქინა მოუტანა. დაჰპირდა მეორეს ხვალ დილით მოგიტანო—მერე მესამესაო. შეფიქრდა ზუმა ამ ძვირფასი წამლის დაღვევაზედ:

— ქალბატონის სიცოცხლე უფრო ძვირფასია ჩემს სიცოცხლეზედაო!. ქალბატონი ჰზრუნავს ჩვენი საწყალი ხალხისათვის, მე კი მარტო ჩემი ოჯახისთვის ვარ საქირო! მართალია ცხადათ ვერ დავაღვევინებ, რომ საიდუმლო არ გამხილდეს, მაგრამ წყალში შევაპარებ.. ამ რიგად საიდუმლოსაც დავიცამ და ჯანსაც დავუბრუნებ ჩემს საყვარელს ქალბატონს. მე კი რაც უნდა მომივიდეს, ოღონდ ის იყოს კარგად.

\*

ლამის წყვილია მოიკო იქაურობა სასახლის მოსამსა-



„ხე ცხოვრებისა“

ხურეებს მშვიდად სძინავთ. არ სძინავთ მხოლოდ გრაფს და ანნას... ავადმყოფის საწოლის მეორე ოთახში სხედან და წამ და უწუმ ათვლიერებენ ავადმყოფს. .

არ სძინავს ზუმასაც. ნელა—ფეხის ფრჩხილებზედ იპარება სასახლის ოთახებში.. ბევრი ფიქრისა და ავადმყოფობისაგან გაფითრებულ დასუსტებული ავადმყოფის საწოლში შეიპარა. . ავადმყოფი მარტოა... თამამად!.. ეუბნება თავისთავს ზუმა. მთოლვარე ხელით წამალს ქიქაში ჰყრის. . ამ დროს ერთბაშად კარი იღება და შემოდის გრაფი... შეძრწუნებით მივარდება ზუმას. თავის ღონიერი ხელით შეათრევს მეორე ოთახში.

— რა ჩაჰყარე წყალში? ეკითხება თავზარდაცემული გრაფი.

ზუმა ჩუმად არის—ხმას არ იღებს.

ანამ მოსამსახურეები გააღვიძა, მთელი სასახლე ფეხზედ დააყენა. მთელი ოთახი მხლებელებით გაივსო.

— წაიყვანეთ საპრობილეში! წარმოსთქვა გრაფმა.— არავინ არ გაბედოს ქალბატონთან ამის თქმა... ზუმას ორგულობა რომ გაიგოს, ელდა ერთბაშად გაათავებს.

\*

მთელ ქალაქში და მახლობელ ადგილებში ხმა გავარდა, რომ ზუმას გრაფის ცოლის მოწამვლა უნდოდა.

ინდოელები შეკრთნენ. მომწამლავ-ზუმას სასტიკი სასჯელი მოელოდა.

სასამართლოს დარბაზი დილიდანვე გაივსო ინდოელები და ისპანიელებისაგან.

ზუმა ბორკილებში მოჰყავდათ. დაიწყო საქმის გარჩევა — გამოკითხვა.

— შენ ჩაუყარე გრაფის მეუღლეს სასმელში საწამლავი?

— დიახ

— სად იზოვნე. მერე, ვინ მოგცა?

— მე მიფუტანე!—ერთბაშად გაისმა ზარივით ხმა და ინდოელების ჯგუფიდან წინ წასდგა მირვანი.

— არა, არა, ეგ უმანკოა ამ საქმეში, მაგან არაფერი იცოდა—წამოიზმუვლა ზუმამ.





— ჩუმათ, ზუმაგ! ნუ თუ შენა გგონია მე უშენოთ ოავი-  
 ლა ვიცოცხლო?... მე ჩემს თავს სამართალს ვაძლევ.

— მერე რა მიიტანე? საწამლავი?

— არა.

იქნება ციების წამალი იყო?

ზუმას მოაგონდა გაფიცულება, მოაგონდა თავის პირმშო  
 შვილი და ელდა ნაკრავსავით წამოიძახა:

— არა, არა! ჩვენ ციების წინააღმდეგ არავითარი წამა-  
 ლი არ ვიცით.

— თუ წამალი არ იყო, მაშ საწამლავი ყოფილა, — და-  
 ასკვნა მოსამართლემ.

— მაშ ის რაღაც თეთრი პკყვრიალა ფხვნილი საწამლა-  
 ვი იყო? გამოსტყდით!

— არაფერშიაც არ გამოვტყდები, გაბედლლათ განაცხა-  
 და მირვანმა.

— მე მხოლოდ ენას დავიდუმებ, — წარმოსთქვა ზუმამ.

დაიბარეს ისპანელი მკურნალიც.

— საკვირველი ავადმყოფობაა, — მიუგო მკურნალმა; —  
 ვერაწამლით ვერ მიფუდექი. ფვიქრობ საწამლავი მოქმედობს  
 ნელ-ნელა.

ელდანაკრავებივით შეპხედეს მოსამართლეებმა ზუმას, მირ-  
 ვანს და დაიწყეს ჩუმად ერთმანეთში მოლაპარაკება..

— ხვალ 'შუადლისას კოცონზე უნდა დაიწონ! — წარ-  
 მოსთქვეს ბოლოს მოსამართლეებმა.

ზუმა შეთრთოლდა.

— გამაგრდი, ზუმა! სიკვდილი საშინელი მონობისაგან  
 გამოგვიხსნის! მოვკვდეთ და განვთავისუფლდეთ! — მღელვარე-  
 ბით წარმოსთქვა მირვანმა.


\*

მთელი ქალაქის ინდოელებს გამოუცხადეს, რომ ხვალ  
 დილით ყველანი შეიკრიბენით კოცონის საცქერლათაო. უნ-  
 დოდათ ყველასთვის შიშის ზარი დაეცათ ზუმა და მირვანის  
 საშინელი სასჯელით. დაღონებული უიარაღო ინდოელები  
 კოცონთან შეიკრიბნენ. გარს ისპანელების ჯარი კედელივით  
 ერთყათ.



„ხე ცხოვრებისა“

მთელი ქალაქი ღელავდა. მთავარმართებელს საშინლად ეცოდებოდა ზუმა და მირვანი; საცალა შორს წავიდა — ქალაქში აღარ დარჩა. მხოლოდ ძისმა მეუღლემ არა იცოდა რა. მაგრამ არ გამოეპარა მსახურების ერთმანეთში ჩურჩული და სხვანაირი ცქერა..



— მიმალამენ რასმეს, ანნა? ჰკითხა ავადმყოფმა მეგობარს. — რა ამბავია?

ანნამ არაფერი მიუგო. ვითომ და ვერ გაიგონა მეორე ოთახში გავიდა.

— რა ამბავია? რა მოხდა? უბედურება ხომ არა შეემთხვა რა გრავსა? მითხარით ჩქარა! შეშინებული ეკითხებოდა მოსამსახურეებსა..

— ნუ მიმალავთ ნურაფერს, ყველა უნდა გავიგო! სად არის გრაფი? უთუოთ უბედურება რამ შეემთხვა! ზუმა სადღაა, სადა? დამიძახეთ... ზუ-

მას ვუყვარვარ — ყველაფერს გულახდით მეტყვის — არ მაწვალებს თქვენსავით!.. რაღასა დგეხართ და არ უძახით ზუმას!..

საქმე ისე დატრიალდა, რომ ვერაფერს დაუმალოვდნენ და ყველაფერი სიმართლით უნდა ეთქვათ.

— რაო, ზუმას ჩემი მოწამლა უნდოდა?.. არა, ეგ ტყუილია! ეგ შეუძლებელია! თავის დღეში არ დავიჯერებ! არა, არა! წამოიძახა ავადმყოფმა.



— თვითონ თავის პირით გამოტყდა მოსამართლესთან.

— უბედური საწყალი ჩემი ზუმა!.. იქნება ინდოელების ბრძანებას ასრულებდა... უთუოდ შეაშინეს საცოდავი... მა ნცა და მაინც ის ჩემი გულისაოვის არ დაიღუპება!. ტრახტევანი ჩქარა, ტრახტევანი მომიტანეთ!.. ჩქარა უნდა მივუსწრო, ვიდრე სასჯელს დაიწყებდნენ! შიკრიკი, შიკრიკი გაგზავნეთ ჩქარა, სასჯელი არ დაიწყონ — მე მომიცადონ! ჩქარა, ჩქარა!..

რამდენს ეხვეწნენ მახლობლები, რამდენს ევედრა ანნა, რომ არ წასულიყო, თავს გაფრთხილებოდა და ბოროტმოქმედნიც არ წაექეზებინა, მაგრამ ავადმყოფმა არ დაიშალა და ტრახტევანით მიაყვანინა თავისი თავი იქ, საიდანაც გაძრიელებული ალი კიდევ მოჩანდა...  
\*

შუადღეა. მირვანი და ზუმა საპყრობილიდან გამოჰყავთ. ტუსადის გრძელი არაღჩინიანი ტანისამოსი აცვიათ; ბეჭებზედ ორთავეს ცალ ცალკე აწერიათ: „მომწამლავი“. ასამდე ჯარის კაცი მისდევს. მზის სხივებზედ ჯარის თოფ-იარაღს ლაპლაპი გააქვს... აი შორიდან გამოჩნდა ჭიაკოკონა... აუარებელი ხალხია... ნალარის ხმა აცნობებს ხალხს დამნაშავეების მოახლოვებას. კოცონი ანთია. ზუმას ძარღვებში სისხლი გაუშრა, მთლად გაფითრდა...

— ნუ გეშინიან! ანუგეშებს მირვანი: — აგერა რა სქელი ბოლია, ერთბაშად დაგვახრჩობს ეგ ბოლი და წვალებას ველარ გავიგებთ ისე დავიწვით!

— სადა ჰხედავ ბოლსა? ცარიელი ალია! წაილულლულა სასოწარკვეთილმა ზუმამ

მიდიან და ყველა ნაბიჯი საშინელ სიკვდილს უახლოვებს. ერთბაშად საიდანაც მალლა გაისმა:

— შედექით, შედექით!..

ყვიროდა ხვითქში გაცურებული შიკრიკი, რომელმაც ელდასავით გაარღვია ხალხი და ერთბაშად წესის გამგებთან დაიბადა.

— შედეგით! გრაფის მეუღლე მობრძანდება. უიმათოთ არ დაიწყოთ სასჯელი. მოუცადეთ მათ ბრწყინვალეობას!



— რა ამბავია?.. საიდან მოსულა?.. რას ამბობს, რასა?..  
გრაფის მეუღლეს აქ რა მოიყვანს?.. ჰღელავდა ხალხი.

\*

აი ტრახტევანიც გამოჩნდა, გრაფის მეუღლეს ჯარის  
ხალხმა პატივისცემით სალამი მისცა. ძლივს წამოიწია ავად-  
მყოფმა და წარმოსთქვა:

— ეპატოს დაგმობილებს! თუმცა მე ნება არა მაქვს  
პატიებისა, მაგრამ იმის ნება კი მაქვს, რომ გრაფს ეთხოვო  
მათი შეწყალება: არა მგონია უარი მითხრას! მანამ კი ჩააქე-



რით ჰიაკოკონა  
— წინათვე რო  
მცოდნოდა ეს ამ-  
ბავი, არ გაგაჩა-  
ლებინებდით ცეც-  
ხლს. ჰოხსენით  
ბორკილები — თა-  
ვმდები მე ვარ —  
აქსად გაიქცევი-  
ან!

— წამომყევით  
თანა — მიჰმართა  
დაგმობილებს.

— ღმერთმა მშვი-  
დობა და ნუგეში  
ნუ მოგიშალოს,  
ქალბატონო! შეს  
ძახა ხალხმა ერთის  
ხმით.

— ძმებო, სიკვ-  
დილი უნდა ავაც-  
დინოთ მაგას, მიჰ-  
მართა ქსიმეომ თა-  
ვის ხალხსა და ანი-  
შნა, რომ აღნი-  
შნულ დელეში

შეგროვილიყვნენ მოსალპარაკებლათ.

ტრახტევანი უკანვე წაიღეს... მაგრამ დიდხანს ისმოდა  
ხალხი რა ლოცვა-კურთხევით აცილებდა ავადმყოფს.





\*

გრაფის მეუღლე საშინლათ დასუსტებული დაბრუნდა. ცოტაოდენი რო შვისვენა და სული მოიბრუნა, ზუმა დაიბარა.

— რა არის, ქალო, რაზედ მღელვარებ იმ უსინდისო და უგულო ზუმასათვის!? აზოშმინებდა ანნა.—განა კარგათ იმოქმედებს ეხლა შენზედ იმის ნახვა! ნუ გინდა—ნუ იბარებ!..

მაგრამ ავადმყოფის სიტყვა ბეჭედი იყო. მოიყვანეს ზუმა. ავადმყოფი ბეწვებში წაფუთნული სავარძელში მისვენებული იჯდა. თავის სახე აღარ ეტყობოდა.

— ზუმა, ახლო მოდი! - ძლივს წარმო თქვა ავადმყოფმა.

— რა ძალიან მიყვარდი .. არ შემოძლიან გული ამოვირეცხო შენზედ!..

ზუმა თავდავიწყებით ტიროდა. გრაფის მეუღლეს სჯერა ზუმას ლალატი, მაგრამ იბრალებდა და აპატია; აპატია უდანაშაულოს, —უმანკოს!.. ოჰ, რა ძნელი ასატანია ეს ზუმასთვის, მაგრამ ზუმა ჩუმად არის - საიდუმლოს ვერ გაამხელს!.. მხოლოდ სასოწარკვეთილებით ტირის... ტირის კვითინით, სლოკინით.. გრაფის მეუღლის წინ დამხობილი კვითინებს... მუხლებზედ ეხვევა... ხელებზედ ჰკოცნის და მღუღარებას ზედ აფრქვევს, მაგრამ უსიტყვოთ—ვერაფრის თქმის ნება არა აქვს!

\*

კარებს უკან აჩქარებული ფეხის ხმა ისმის და თან მხიარული ხმაურობა. ავადმყოფმა თავის ქმრის ხმა იცნო.

— შენი სახელით ვაპატიე დამნაშავეებს, შენი სახელით მივანიჭე მე მათ სიცოცხლე!.. აპატიე, ღვთის გულისათვის!— ეხვეწებოდა, ევედრებოდა ღონე მიხდილი ცოლი გრაფსა.

— აქ დამნაშავე არავინ არის! მხიარულად მიუგო გრაფმა და თან კარებისაკენ მიჰმართა:

— შემოდი, შემოდი!

ოთახში ქსიმეო და მირვანი შემოვიდნენ.

— ზუმა, — წარმოსთქვა მოხუცმა ინდოელმა: — ჩემო შვილო და რძალო, ზუმა! ჩვენი ხალხის ნებართვით ჩვენი წმინდა ხის საიდუმლო გავამხილეთ. შევატყობინე აგრეთვე ისიც, რომ



შენ გრაფის მეუღლეს საწამლავი კი არა, წამალი ჩაუყარე წყალში!

— წამალიო?.. მერე რაღას გაჩუმებულისავე, ზუმა?.. — ეკითხებოდა გოცბუღი ავადმყოფი.

— მაპატიე, ჩემო უმანკო ზუმა, ეხვეოდა ანნა და პატივებს ევედრებოდა.

— ფიცის მიცემამ კრიკა შეუკრა, რაკი საიდუმლოს თქმა აკრძალული იყო და ზუმაც ჩუმიდ, უსიტყვოდ იტანჯებოდა! აუხსნა ქსიმეომ, — მაგრამ თქვენმა გულწრფელობამ, ქალბატონო, ყველა დასთურგვანა! თქვენ აგრე ავადმყოფი, თითქმის სამარის კარზედ-მდგარი არაფერმა არ შეგაყენათ, კაკო-მოყვარეობამ თქვენი თავი დაგავიწყათ და იმ სიშორეთ იქ მობრძანდით ჟებედურების საშველად და ნუგეშად! თეთრ-კანა ქალის გულწრფელობამ სიცოცხლე აჩუქა თავის მომწამლავს! ინდოელები დიდათ აფასებენ სიპატიოსნეს და სულგრძელობას და ამისათვის თქვენ, ქალბატონო, საკუთრებად გიძღვნეს ის წმინდა ხე, „ცხოვრებისა!“

\*

იმ ქიაკოკონის ადგილს, სადაც უნდა ზუმა და მირვანი დაეწვათ, დიდი ძეგლია ამართული და ზედ ოქროს ასოები ბჟყვრიალებს: „გრაფის მეუღლის ცინხონის და თეთრ-კანების მანსნელს ზუმას“...

\*

დღითი დღე უფრო და უფრო ბევრი ტყობილობდენ ქინაქინის ხის ამბავსა. ქინაქინის ხის ქერქის ვაჭრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა პერუს ქვეყანას. მაშინდელ დროს თითო დაღვევა ქინაქინა თითო ოქრო ღირდა, და გაფრთხილება კი არ იცოდნენ პერუელებმა ამ ძვირფასის ხისა, და ეხლაც არ იციან თითქმის. ისე დაუდევრათ სჭრიან, აქცევენ ხესა, აცლიან ქერქსა და მთელი ხე კი ფუჭდება, იკარგება. აქამდინ არ იცოდნენ, რომ ხესაც მოშენება უნდა, როგორც საქონელსა. მისში შეაგროვებდა ხოლმე რაოდენიმე ინდოელებს ერთი ვინმე თეთრკანიანი, მისცემდა საგძალს, თოფ-იარაღს,





რომ გზაში ხიფათს ასცდენოდნენ, ან ენადირნათ, და ისტუმრებდა ქინაქინის ქერქის მოსაგროებლათ; ერთი მათგანი ავიდოდა უფრო მაღალ ხეზედ და იქიდან ათვალიერებდა თავისი გამჭრიახი თვალებით მოწითანო ფოთლებიან ხესა. აი იპოვნეს ადგილი, სადაც ბლომად სდგას ქინაქინის ხე. აკეთებენ ქოხსა და ბინავდებიან შიგა, ვიდრე საჭირო ქერქს არ მოაგროვებენ.

სკრიან ხეებსა და ჰქერქავენ; ქერქი წამლათ მიაქვთ, მაგრამ მოჭრილი ხეები კი უსარგებლოდ ფუჭდება. პატარა ქერქის გულისთვის ვეებერთელა ხე იქცევა! ვერა ხვდებოდნენ, რომ მოჭრილი ხეების ბაღლად სხვა ამისთანავე ადგილს გაეშენებინათ ახალი ხეები. სხვანაირად კი თვალმარჯვეთ და ყურმახვილად იქცეოდნენ პერულები: არ ანებებდნენ სხვა ქვეყანაში გასაჩენათ.

ბოლოს ისე შეთხელდა ქინაქინის ხე, რომ ევროპიელებს საფიქრებელი გაუხდა, ვაითუ სახსენებელიც აღარ იყოს ამ «ხე ცხოვრებისა»-ო.

\*

ამაზედ შეფიქრებულები უფრო გოლანდიელები იყვნენ, გოლანდიელებს დაპყრობილი აქვთ ერთი მოზრდილი კუნძული იავა. ეს კუნეული აზიის სამხრეთითა ძვეს — გოლანდიელებისათვის აღმოსავლეთით. იავა ძალიან მდიდარი ქვეყანაა, მხოლოდ ზოგიერთი ადგილები მეტად ციებ-ცხელებიანია, მეტადრე უცხო მოსული ხალხისთვის! ამ კუნძულის უმთავრეს ქალაქს ბოტავიას მეტ სახელად «ევროპიელების სამარე» დაარქვეს. ძალიან იყო აქ გავრცელებული მუცელა და მძვინვარებ ციებცხელება. აბასწორედ აქ იყო საჭირო ქინაქინა და აქაურ ჰავის ატანაც შეეძლო ქინაქინის ხესა.

მაგრამ როგორ ეშოვნათ თესლი ან ნერგი? აი ეს იყო საფიქრებელი. ბევრჯელ ეცადნენ, მაგრამ ცდა ყოველთვის ფუჭად ჩაუვლიდა. ბოლოს 1852 წელსა გოლანდიელ მთავარმართებელთან გამოცხადდა ერთი ვინმე ნემენცი გესკარესი.

— მე შევეცდები და, მგონი, ჩემი შრომა მუქთად არ ჩამივლის! — მოახსენა მთავარმართებელს:



„ხე ცხოვრებისა“

მისცეს საჭირო ფული და დაჰპირდნენ დროზედ გემის მიშველებასაც, რომლითაც გესკარესი გამოაპარებდა ქინაქინის თესლსაც და ნერვსაც. გესკარესი გაუდგა გზასა პერუსაკენ; ექვსი თვე დაჰყო იქა და, რასაკვირველია, თავის აზრი არავისთვის გაუზიარებია; შეისწავლა იქაური ენა, მოხერხებით გამოპკითხა ბევრსა,—კიდევ სადღა დარჩენილა ქინაქინის ხე; იშოვნა გზის მაჩვენებლები და გაუდგა გზასა დაბურული ტყისაკენ.

ისეთ ღადაღულდა ადგილებში უხდებოდა სიარული, რომელსაც აღამიანის ფეხი ჯერ არ დაჰკარებოდა: საშინლად წვალობდა, მაგრამ ისევ კი თამამად მიდიოდა, რომ თავისი აზრი გაეზორციელებინა. აი ბოლოს მიაღწენ ერთ ვიწრო უფსკრულს... ძირს—თვალუწვდენელ ხევში მდინარე მიღრიალებს! აქეთ იქით კლდეებს წვერები გაუშვერიათ, თითქო ერთმანეთს შეყრა მოსურვებით, მაგრამ კი ვერ მისწვდენიანო... არა გზით არ შეიძლებოდა მეორე ნაპირს გასვლა... მაგრამ ინდოელმა არც აცია, არც აცხელა, ერთბაშად ამოიღო პარკიდან მსხვილი თოკი; გამოარკუთა, ხერხიანად მეორე მხარეს გადასროლა და იქვე მდგარ დიდი ხის მოტეხილ ტოტს კი გამოსდო; მერე აქეთა ხეს მოახვია და ხელად ჰაეროვანი ხიდი კი გამართა. მოჰხვიეს მაგრა ხელ-ფეხი დამეორე მხარეს კი გაცოცდნენ ამ ხელად გაკეთებულ თოკის ხიდზედ.

ან თოკი რო გაწყვეტილიყო, ან ხეს ტოტი მოსტეხოდა—გესკარესი უამბოდ დაიკარგებოდა. მთელი თვე მოჰუნდა ამისთანა სიარულს და ხეტიალს გესკარესი, ბოლოს დაინახეს „ხე ცხოვრებისა“ გესკარესი სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა! დახე გესკარესის იღბალსაც - ნაყოფი დამწიფებული ესხა, გაგიხარიან ფრთხილად მოჰკრიფა. იქვე შორი ახლო ნორჩი. ახლათ ამოსული ყლორტებიც დაინახა, ესენიც ფრთხილად მოსთხარა, ჩაალაგა წინადვე დამზადებულ ჩარჩოიან შუშის ყუთებში და თავები მოუღესა, რომ სიცხე—სიცვივეს არ ემოქმედნა და არ გაეფუჭებინა.

— იქნება თესლზედ არ ამოვიდეს და ნერვზედ კი იხაროსო,—ფიქრობდა გესკარესი.





ლა ამ ბარგით უნდა ტყიდან გამოსულიყო და, რასაკვირველია, უფრო დიდ წვალებას გამოივლიდა, მეტადრე ზღვის ნაპირას სულ ჩუმად უნდა მიეჯანა, რომ არავის დაენახა, ახლა გემიც უნდა ეთვლიერებინა, წამოვიდნენ... მაგრამ დახე ბედსა! პერუში ომი ატეხილიყო. ჯარი ყველგან მოდებულ იყო იმ მყუდრო ადგილებშიაც კი, სადაც წინეთ ჭაჭანება არავინა სჩანდა ხოლომე. ამასთანავე გზებსაც უფუჭებდნენ მტრები ერთმანეთსა და გესკარესი სულ დაიბნა. თან ისიც შეატყობინეს, რომ ვითომ პერეულებს გაუგიათ ქინაქინის ხის თესლის და ნერვის გამოპარება და გესკარესს აუცილებელი უბედურობა მოეღისო.

\*

მაგრამ მოხერხებულმა, გამბედავმა, გესკარესმა ყველაფერი თავიდან აიცილინა და მშვიდობით მიაგნო გოლანდიელების გემსა.

გზაზედ სანერგე ყლორტები თითქმის ყველა გაფუჭებულიყო, მაგრამ თესლი კი ძალიან საღად მოვიდა იავის კუნძულზედ. თესლმა მშვენივრად იხეირა. რამდენიმე წლის შემდეგ ნერგებსაც დაუწყეს რგვა..

მიჰყვეს ხელი ქინაქინის ხის გაჩენასა და ეხლა უამერიკოთაც ბევრი ქინაქინაა ქვეყანაზედ და ადამიანს შეუძლიან მარჯვედ ებრძოლოს ციებ-ცხელებასა. აღარც ისე ძვირად ფასობს, როგორც ფასობდა გრაფის მეუღლის ცინხონის დროსა.

სალომე მალალაშვილი



## წითელი კაკაბის ნაამბობი.

(აღიფანს დედე მოთხრობა)



თუოდ გეცოდინებათ, რომ კაკბები გუნდ-გუნდათ ცხოვრობენ და ერთათ ბუღო-ბენ ხნულები ორმოებში, საიდანაც, ხი-ფათის მოახლოებაზე ერთბაშათ წამო-იშლებიან ხოლმე და ისე გაიფანტებიან ჰაერში, როგორც მთესველისაგან ყანაში გადასროლილი მარცვალი.

ჩვენი გუნდი მხაარული და მრავალ-რიცხოვანია, ველზე და-ბინავებული ერთ დადი ტყის პირას; თავშესაფარი ადგილი და სარჩო ერთი მხრითაც ბევრი გვაქვს და მეორითაც; ამიტო-მაც, მას აქეთ, რაც სირბილი დავიწყე, კარგათ შემოსილი ვარ, და ყოველთვის გამაძლარი, მე თავს ძალიან ბედნიერათ ვგრძნობ-დი; მხოლოთ ერთი რამ მაფიქრებდა ხან-და-ხან: ის რაღაც „ნა-ღირობის გახსნა“, \*) რომელზედაც დედა-კაკბები ჩუმ ჩუმათ კიდევ იწყებდენ ერთმანეთში ლაპარაკს. ჩვენი გუნდის ერთი ხნიერი კაკაბი ამის შესახებ ყოველთვის მეუბნებოდა:

— ნუ გეშინია, წითელა! — წითელას მიტომ მეძახიან, რომ ნისკარტი და ფეხები შინდის ფერი მაქვს, — ნუ გეშინია წი-თელა! ნაღირობის გახსნის დღეს ჩემთან ერთათ წაგიყვან და დარწმუნებული ვარ ცუდი არაფერი შეგემთხვევა.

ეს კაკაბი — დიდი გამოცდილი მამალია, ძალიან ჭკვიანი და ჯერ კიდევ მარდი, თუმცა მუცელზე ნალი \*\*) კიდევ ახა-

\* კურდღლებზე, კაკბებზე და სხვ. ნაღირობა მხოლოთ ენკენის-თვეში იწყება, მანამდის აკრძალულია. პირველ ნება-დართულ დღეს მო-ნაღირები ერთათ იკრფენ თავს, ერთათ ნაღირობენ და საღამოს ნანა-ღირევს იყოფენ.

\*\* ხნიერ კაკებს მუცელზე ნალი დაჩნდებათ ხოლმე, უფრო მუქი ფ-თებით გამოხატული.





ტია და იქა აქ თეთრი ფრთებიც ურევია. ახალგაზრდა მისი ცხელი ფრთაში თოფის წამალი მოხვედრია და, რადგანაც ამას ცოტა დაუმძიმებია, ახლა ის მეტათ წინ-დახედულია, წარა-მარა არ აფრინდება, დაფიქრებით იქცევა და ყოველ უბედურებას იცდენს. ხშირათ წაუყუანია მას ტყის შესავალთან; იქ ერთი რამ უცნაური პატარა სახლია, წაბლის ხეებში ჩამალული, ჩუმი როგორც ცარიელი სორო და ყოველთვის დახურული.

— კარგათ დააკვირდი ამ სახლს, პატარავ! — მეუბნებოდა ხოლმე მოხუცი. — როცა მისი ბუხრიდან კვამლი ამოვა და კარ ფანჯრები გაიღება — ეს ჩვენთვის ცუდი ნიშანი იქნება.

მეც სრული ნდობით ვისმენდი მის სიტყვებს, რადგანაც კარგათ ვიცოდი, რომ ნადირობის გახსნა მისთვის ახალი იმბავი არ იყო.

მართლაც, ამას წინეთ, დილას, ალიონზე, გავიგონე, რომ ხნულში ვილაც მეძახდა:

— წითელა! წითელა!

ჩემი მეგობარი მამალი იყო თვალები საოცრათ უელვარებდა.

— წამოდი, მალე! — მითხრა მან, — და ყველაფერში ჩემსავით მოიქეცი.

გავყევი უკან, ჯერ თითქმის ისევ მძინარე; როგორც ის, მეც შეუმჩნევლათ გაესრიალდი მიწის გორბებს შორის, არც ფრთებს ვაქნევდი, არც ვბტოდი, მივცუნცულედი როგორც ნამდვილი თაგვი, ტყისკენ მივეშურებოდით და, შესავალთან, დავინახე, რომ პატარა სახლის ბუხრიდან კვამლი ამოდიოდა, ფანჯრებს დარაბები ახდელი ჰქონდა და ფართეთ გაღებულ კარების წინ სანადიროთ გამოწყობილი და გამზადებული კაცები იდგენ; მათ გარშემო ძაღლები ირეოდენ და ხტოდენ.

სახლს რომ გავუსწორდით, ერთმა მონადირემ დაიყვირა:

— ამ დილას ველს დავუტრიალდეთ და ნასაუხმევს ტყეს შევესიათო.

მხოლოთ მაშინ მივხვდი, რათ მიმაჩქარებდა ჩემი მეგობარი ტყისკენ. გული მაინც საშინლათ ამიძგერდა, უფრო იმიტომ, რომ ჩვენი საცოდავი მეგობრები გამახსენდა

უეცრათ, სწორეთ იმ წამს, როცა ტყის პირს მივალწით, ძაღლები ჩვენსკენ გამოეკანენ.

— მიწას გაეკარი, მიწას გაეკარი! — წამჩურჩულა მოხუცმა და თითონაც ძირს გაინარცხა. ჩვენგან ათიოდე ნაბიჯის სიშორეზე კი ერთმა შეშინებულმა მწყერმა ფრთები ვაშალა, ნისკარტი გააღო, ერთი გულ-საკლავათ დაიკივლა და მაღლა აფთქიალდა. იმავე წუთს რალამაც დაიგრიალა და გარს უცნაური სუნის თეთრი მტვერი შემოგვეხვია, ძალიან თბილი, თუმცა მზე ჯერ კიდევ კარგათ ამოსული არ იყო. ისე შემეშინდა, რომ ფეხები მთლათ დამაწყდა; ბედზე, კიდევ შევდიოდით ტყეში. ჩემი მეგობარი ერთ პატარა მუხას ამოეფარა, მეც გვერდში ამოვუდექი და ასე დამალულებმა დავიწყეთ ფოთლებს შორის ცქერა.

ველოზე, კანებში, საზარელი თოფის სროლა იყო. ყოველ დაქექებაზე მე შიშით თვალებს ვხუჭავდი, მთლათ გაბრუებული; მერე, როცა თვალებს ვახელდი, ვხედავდი ველს, დიდს და გატიტვლებულს, და ზედ აუარებელ ძაღლებს, რომლებიც იქით-აქეთ დაჰქროდნენ, ბალახებში რალაცას ეძებდნენ და ისე ტრიალებდნენ, როგორც ნამდვილი გიეები; მათ უკან მონადირეები დასდევდნენ, ჰყვიროდნენ, იწყევლებოდნენ: თოფებს მზის სხივებზე ლაპ-ლაპი ვაჰქონდათ. ერთხელ, კვამლის პატარა ღრუბელში, რალაც ფოთლები დავინახე! ისინი ჰაერში ფრიალებდნენ და ნელ-ნელა ძირს ეშვებოდნენ, მათ სიახლოვეს კი არაფერი ხე არა ჩნდა; ჩემმა მეგობარმა ამიხსნა, ფოთლები კი არა, ფრთები არისო, და მართლაც იმ ადგილას ერთი მშვენიერი ნაცრის ფერი გნოლი დაეცა, ხნულში ჩავარდა და გასისხლიანებული თავი გვერდზე გადაიგდო.

როცა მზე ძალიან მაღლა ავიდა და ძალიან გაცხოველდა, თოფის სროლა სრულიად შესწყდა! მონადირეებმა გასწიეს სახლისაკენ, რომლის ბუხრიდანაც დიდი ყლორტების ცეცხლის მხიარული გუგუნე მოისმოდა; მხარზე თოფ გადაგდებულები ისინი გაცხარებით ლაპარაკობდნენ, დაობდნენ; ძაღლებიც უკან მისდევდნენ დაღალულ-დაქანცულები, ენა-გამოგდებულები.





— სასაუბროთ მიდიან. — თქვა ჩემმა მეგობარმა. — ჩვენც მათ მივბაძოთ.

ორივე იქვე, ტყის პირათ, ერთ ყანაში შევედით, უგრეხელას დიდ ყანაში, რომელიც შავათ და თეთრათ ბიბინებდა ნთლათ ყვავილებათ და მარცვლებათ ქცეული; იქ ლამაზი, ოქროსავით მშხინავ წაბლისფერ ფრთებიანი ხობბები დაგვხვდა; ისინიც ჩვენსავით ჰკენკავდენ და წითელ ბიბილოებს დაბლა ჰხრიდენ, რომ მონადირეებს არ დაენახათ. სადღა იყო ახლა მათი ჩვეულებრივი სიამპარტავნე, მათი ამაყობა! ლაპარაკი დაგვიწყეს, გვკითხეს, რომელიმე მათი მოგვარე ხომ არ მოეკლათ ჯერ და ახალი თუ რაზე ვიცოდით ნადირობის შესახებ. მონადირეების საუბრე კი, ჯერ ჩუმი, თან-და-თან ახმაურდა; გვესმოდა. როგორ აჯახუნებდენ ერთმანეთზე ჭიქებს და როგორ ხსნიდენ ახალ და ახალ ბოთლებს. მალე მოხუცმა კაკაბმა გამომიცხადა, დროა ჩვენ თავშესაფარს დავუბრუნდეთო. ასეც მოვიქცით.

ამ დროს გვეგონებოდათ ტყეს სძინავსო; პატარა ტბა, რომლის წყალსაც შევლები სვამენ ხოლმე. ჯერ ამღვრეული არ იყო; არც ერთი კურდღლის ცხვირი არ მოსჩანდა ურცვში; ვერაფერ სულიერს ვერსად თვალს ვერ მოჰკრავდით; მხოლოდ გრძნობდით ირგვლივ რაღაც საიდუმლო თრთოლვას, თითქო ყოველ ბუჩქის, ყოველ ფურცლის, ყოველ ბალახის უკან ვისიმე გასაჭირში მყოფი სიცოცხლე იყო განაბული. მართლაც. ვინ მოსთვლის, რამდენი დასამალავი ადგილი აქვსთ ტყის მცხოვრებთ: სოროები, ხვრელები, ფულუროები, ხშირი ჩირგვნარი, გაუვალი ბალახ-ეკლნარი. ძირს ჩამოვარდნილი დამპალი ხის ტოტები, და მერე კიდევ ორმოები, ტყის ვიწრო ორმოები. რომლებშიაც წვიმის წყალი ისე დიდხანს ინახება ხოლმე! უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეც საშინლათ მინდოდა ერთ ამ ორმოთაგანის ძირში ჩავმალულიყავ; მაგრამ ჩემ ამხანაგს გაშლილ ალაგას ყოფნა ერჩია, რომ შორიდან დაენახა, შორიდან ეგრძნო ყველაფერი.

ცოტა კიდევ — და მონადირეები ტყისკენ გამოეშურნენ. ოჰ, ეს პირველი თოფის დაჭექება ტყეში! ეს თოფის წამალი,



# წითელი კაკების ნაამბობი

რომელიც ფოთლებს ისე ხვრეტდა, როგორც გაზაფხულის სეტყვა, და ხეების კანსაც კვალს აჩნევდა, არაოდეს არ დამავიწყდება მე იგი. ერთმა კურდღელმა გზა გადირბინა, გაქიმული ბრჭყალებით ბალახებს ჰკლეჯდა; ერთი თრითინა წაბლის ხიდან ჩამოვარდა, ძირს ჯერ მკვახე წაბლი ჩამოჰყარა; ორი სამი ხოხობი მძიმეთ შეინძრა და გადაფრინდა; დაბლა ბუჩქნარში, გამხმარ ფოთლებში, დამპალ ტოტებში ყველაფერი აირია; თთფის გასროლის ქარმა გააღვიძა, ააღელვა, შეაშინა, აათრთოლა მთელს ტყე, ყველა მისი მცხოვრები. იმ ხის ფულღუროდან, რომლის ძირშიაც ჩვენ ვიმალეობდით, ერთი რქიანა გამოძვრა და იქით-აქეთ გადაატრიალა თავისი დიდი, სულელური, შიშისაგან გაშტერებული თვალები; მინდვრის თავგები თავ-თავის სოროებში გაჰქრენ, ცისფერი ქაღალწულები\*), კრაზანები, პებლები, საცოდავები ყოველი მხრით გაიფანტენ და ერთი პატარა კალია, ბრჭყვიალა წითელ ფრთებიანი, ზედ ჩემ ნისკარტიან წამოსკუბდა; მაგრამ მე თითონაც ისე შეშინებული ვიყავი. რომ მისი გადაყლაპვა ფიქრათაც არ მომსვლია.

მოხუცი სულ ისევ ისე დამშვიდებით გამოიყურებოდა; ის გულდასმით ადევნებდა თვალ-ვურს თოფის სროლას და ძაღლების ყეფას; ოცა ისინი ახლოვდებოდნენ—ის მანიშნებდა, გამომყევია, და ჩვენ უფრო შორს მივდიოდით. ხშირ ფოთლებში მოხერხებულათ ვიმალეობდით. ერთხელ კი სწორეთ მეგონა, რომ დაღუპვას ვერ გადავრჩებოდით: იმ ხეივანს, რომელიც უნდა გადაგვევლო, ორი მონადირე უღარა ჯებდა; ერთი მხრით დიდი ვილაც ახმახი იღვა, მთლათ ჩარაზმული: მაღალ ყელიანი, ჩასხმული გამაშები\*) მუხლებს ზევით უწევდა და კიდევ უფრო დიდათ და საშიშრათ აჩენდა; ყოველ მოძრაობაზე ის თავის რკინის სამკაულს, სანადირო დანას, თოფის წამლის ყუთს, პატრონების საწყობს, აჩხრალებდა... მეორე მხრით კი ერთი მორჩილი ტანის მოხუცი, ხეზე

\* ერთ ნაირი მწერია პებელასავით ლამაზი ფრთები აქვს და ცისფერი ტანი, ძალიან წვრილი და ძალიან გრძელი, როგორც წემწუშა.  
\*\* ჩვენ პატივებს მიემგვანება.



მიყრდნობილი, მოსვენებით თავის ჩიბუხს ეწეოდა და თვალებს ისე ნაბავდა, გეგონებოდათ, ეძინებო. ეს სრულებით თავ არ მაშინებდა, მაგრამ ის, ის მეორე, ახმახი!..

— არაფერი არ გაგეგება. წითელა!—სიცილით მითხრა ჩემმა მეგობარმა, და უშიშრათ, ფრთებ გაშლილი, ის თითქმის შიგ ფეხებში გაუფთქრიალდა საზარელ მონადირეს.

და მართლაც, საცოდავი, ისე იყო გამოსუტული თავის სანადირო ტანისამოსში, ისე იყო გატაცებული თავისი თავის თავ მომწონეთ ცქერით, რომ როცა, როგორც იქნა, თოფი მოიმარჯვა, ჩვენ კიდევ ძალიან შორს ვიყავით წასული. აჰ, რომ იცოდნენ მონადირეებმა, როცა თავი მარტო ჰგონიათ ტყის რომელიმე კუნჭულში, რამდენი პატარა, დაკვირვებულნი თვალი უდარაჯებს მათ ჩირგვებიდან, რამდენი პატარა წვეტიანი ნისკარტი ძლივს იკავებს სიცილის მით დამარცხებაზე!

ჩვენ მივდიოდით, სულ მივდიოდით უფრო და უფრო შორს რადგანაც ჩემი მეგობრის მიბაძვაზე უკეთეს ვერას მოვახერხებდი, მეც ფრთებს მის ფრთებსავით ვაფრიალებდი და უძრავათ ვკეციდი მათ, როცა ის სადმე შეჩერდებოდა: ჯერ კიდევ თვალ წინ მიდგას ყველა ის ადგილები, სადაც იმ დღეს გავიარეთ: ნაძვნარი, კიდეებზე ყვავილებით ავარდისფრებული; კურდღლების საროები ყვითელ ხეების ძირში; ფარდასავით ამართული დიდი მუხების წყება, სადაც ყოველ კუნჭულში სიკვდილი მელანდებოდა ჩასაფრებული, და პატარა მწვანე ხეივანი, რომელშიაც დედა-ჩემი, დედა კაკაბი, ისე ხშირათ გვასეირნებდა ხოლმე ჩვენ, თავის შვილებს, მაისის მზის სხივებზე... ჩვენ მხიარულათ ვხტოდით და ხარბათ ვკენკავდით წითელ ჭიანჭველებს, რომელნიც ფეხებზე გვატოცდებოდნენ. ხშირათ ვხვდებოდით ხოლმე იქ პატარა ხობებს, ვარია-ყვინჩილებსავით ჩასუქებულებს, რომელნიც არ კადრულობდნენ ჩვენთან ერთათ თამაშს...

როგორც სიზმარში, ისე დავინახე ეს ჩემი პატარა ხეივანი, სწორეთ იმ წამს, როცა ერთი ფურ-ირემი გადარბოდა მასზე, წერწეტა და ლამაზი, წვრილ და მაღალ ფეხებიანი; თვალები ფართეთ გაეხილა და გადასახტომათ იყო გამზადე-



ბული. მერე მივუახლოვდით ტბას, რომელთანაც ჩვეულებრივად გუნდ-გუნდად მოვდიოდით ხოლმე, ოცი, ოცდაათი კაკბი ერთად; ყანებიდან ერთბაშად წამოვიშლებოდით ხოლმე და მოვეშურებოდით აქ ნაკადულზე დასაწაფებლად, თან ერთი-მეორეს ხუმრობით წყალს ვასხამდით; წყლის წვეთები ბზილა ფრთებზე მარგალიტებივით დაჰგორავდენ.

ამ ტბის შუაგულში რამდენიმე ძალიან ხშირი ბუჩქი ნამდვილ პატარა კუნძულს წარმოადგენს: ამ კუნძულზე დავიმალეთ. სწორედ საოცარი ყნოსვა უნდა ჰქონოდათ ძაღლებს, რომ იქ მოეგნათ ჩვენთვის! ცოტა ხანს იქით ერთი შველი მოადგა ტბას; სამ ფეხზე მოჰკოჭლობდა და სულ სისხლის კვალს აჩნევდა ხავსზე; ისეთი სამწუხარო სანახავი იყო, რომ დიდ ხანს მისი ყურება ვერ შევძელი, თავი ფოთლებში ჩავმალე; მაგრამ მაინც კარგად მესმოდა, როგორ ხარბათ სვამდა წყალს საცოდავი ცხოველი, სიციხისაგან გათარანებული.

სალამო ახლოვდებოდა; თოფის სროლა უფრო და უფრო შორიდან, უფრო და უფრო იშვიათად მოისმოდა; მერე ყველაფერი მისწყდა; ნადირობა გათავებული იყო. მაშინ ნელ-ნელა, ფეხ-აკრეფით, ველისკენ გამოვბრუნდით, რომ ჩვენი გუნდის ამბავი გაგვეგო. ტყის პატარა სახლს რომ გავუსწორდით, საზარელი რამ დავინახე,

ერთ ორმოს პირას რუხ-ბანლიანი კურდღლები და ნაცრის ფერი, თეთრკუდა ბაჭიები ერთი-მეორის სიახლოვეს იყვნენ ჩამწყრივებული; მათი ნისლ-გადაკრული თვალები თითქოსტიროდნენ. მათი პატარა, სიკვდილისაგან ერთი-მეორეზე მიკრული თათები თითქოს ვიღაცას შებრალებას ევედრებოდნენ; გვერდით არეულ-დარეული ეყარენ ფრინველები, ნაცრის ფერი გნოლები, წითელი კაკბები, ზოგი ხნიერი, როგორც ჩემი მეგობარი, მუცელზე გამოხატული ნალებით, ზოგი სულ ახალგაზდა, რომელთაც ჩემსავით ჯერ ბუმბული არ გაჰქრობოდათ ფრთებს ქვეშ. გინახავთ რამე ქვეყანაზე მკვდარ ფრინველსავით გულდამთუთქავი? ფრთები ისეთი ცოცხალი, ისეთი მოძრავი რამ არის! მათ რომ გაცივებულს და დაკეცილს ჰხედავ—ძალა-უნებურად სიბრალულით თრთის! იქვე ერთი დი-





დი შველი, წყნარი და მშვენიერი, თითქო სძინავსო, ისე იყო გაწოლილი; პატარა ვარდისფერი ენა გამოეკდო, გეგონებოდათ, ეს ეს არის რამეს ალოკავსო...

და მონადირეები გარს უვლიდენ, თავს დასტრიალებდენ ამ საკლავს, ითვლიდენ და თავთავისკენ ეწეოდენ გასისხლიანებულ თათებს, დამტვრეულ ფრთებს, არაფერი მორიდება, არავეთარი პატივისცემა არ ჰქონდათ ამ ქრილობების, ამ სატკივრების. ძაღლები, ახლა ერთი მეორეზე გადაბმულები ჯერ ისევ ცმუტადდენ, ცხვირს აცმაკურებდენ, თითქო მხათ იყვენ ხელ-ახლავ შევარდნილიყვენ ტყეში.

ღიადი მზე იქით, ტყის კიდეზე, ესვენებოდა; დაღალულ დაქანცული მონადირეები გზას გაუდგენ; მათი გაგრძელებული ლანდები მიწის გაროხებს და საღამოს ნამით მოპყურულ ბილიკებს ეფინებოდა; როგორ მძულდა ამ წამს მე ისინი ყველა, როგორ ვწყველიდი მათ, ადამიანებს და მხეცებს, მთელ მათ გუნდს! არც ჩემ მეგაბარს, არც მე გული აღარ გვქონდა ჩვეულებრივით მოკლე დაწივლებით გამოვთხოვებოდით ამ დღეს, რომელიც ასე თავდებოდა.

გზაზე აუარებელ პატარა ცხოველებს წავაწყდით, თოვის წამლით უცაბედათ მოკლულებს და უპატრონოთ მიტოვებულებს ქიანშველების სასიხარულოთ; გარეულ თავგებს, რომელთაც ცხვირ-პირი მთლათ მტვერში ჰქონდათ ამოგანგლული, მარტიებს, მერცხლებს, რომელნიც გულაღმა ეგდენ და გაშეშებულ პატარა ფეხებს ღამეს უშვერდენ, — შემოდგომის ნათელ, ცივ და ნოტიო ღამეს, რომელიც სწრაფათ ეფარებოდა და დედა-მიწას. მაგრამ ყველაფერზე გულსაკლავი ის იყო, რომ ტყის პირას, ველის სასღვარზე, და იქაც, შორს, მდინარის ლერწმებში, დრო გამოშვებით ძახილი გაისმოდა, ძახილი იქით-აქეთ გაფანტული; მწუხარე, შეშინებული... ძახილი, რომელსაც არაფერი არ სცემდა პასუხს.

(ფრანგულით)

ელ. წერეთელი.

ბამბუ, ანუ ინდოეთის ლერწამი.



ანანას გარდა ერთი მცენარეა კიდევ ცხელ ქვეყნებისა, რომელიც თავის აგებულებით ძალიანა ჰგავს ჩვენი ქვეყნის მინდვრებისა და ჭაობების ბალახ—მცენარეებს: განირჩევა მათგან სიმაღლითა და სიმსხოთი ამ მცენარეს უწოდებენ ბამბუს, ანუ ინდოეთის ლერწამს. იგი მართლაც ბალახ—მცენარეებს ეკუთვნის, მაგრამ იმ სიდიდეა, რომ ჩვენებური ბალახი და ლერწამი მასთან შედარებით იზოდენა გამოჩნდება, როგორც ჯუჯა კაცი რომ შედაროდ დევ-გმირს ვინც უნდა ნახოს, იფიქრებს, უეჭველად ხეო, იმდენად მსხვილი ღერო აქვს. ნამდვილათ კი ბალახ—მცენარეა:

ღერო მისი იმისთანავე უმქისოა, წმინდა, როგორც ბალახ—მცენარეებისა, და ალაგ-ალაგ დამსხვილებულა და ნასკვები გაუკეთებია. როდესაც ქორფაა, მაშინ თხელი გული აქვს, წყლიანი, ხოლო როდესაც დამთავრდება, გული დაუცარიელდება. როგორც სხვა ბალახ—მცენარეების ღერო, ისე ბამბუს ღეროც მუხლებად არის დაყოფილი და მუხლი თავდება იქ, სადაც ნასკვი აქვს ღეროს. ნასკვებში ძგიდეებია, რომელნიც ჰყოფენ მუხლებს ერთი-მეორისაგან, თითქო გამტიხრულია ღერო რამდენსამე ალაგასო. ნასკვებზე ასხია გრძელი ფოთლებიანი შტოები. ყვავილები კენწეროში იცის, რომელნიც შესდგებიან მრავალი თავთავისაგან და მოგვაგონებენ ცოცხს. ძალიან ჰხარობს ბამბუ ნოტიო და ჭაობიან ადგილებში; სქლად იცის ამოსვლა და ტევრად მოედება ხოლმე მდინარეების ნაპირებს და ჭაობებს. ბამბუს ტევრს უწოდებენ სახელად „ჯუნგლს“. ჯუნგლებში სჩვევიათ ყოფნა



სპილოებს და მარტო-რქებს. იქ ხშირად იმალებიან ბალახის მძოველ ოთხფეხთა მოსისხლე მტრები—ვეფხები; ჩასაფრულან და ელოდებიან თავის მსხვერპლს.

მრავალი რამ არის დედა-მიწაზე ადამიანისათვის სასარგებლო ცხოველთა და მცენარეთა შორის, მხოლოდ მიხდომა უნდა ამას, შრომა და გამოყენება საქმეში. ბამბუ, მაგალითად,



ბევრს რასმეშია თურმე გამოსადეგი. ეს უკუგნით ცხელ ქვეყნებში ზოგიერთ ხალხებს და ვარდა კოკორის პალმისა, არც ერთი მცენარე არ მიაჩნიათ ისე, როგორც ბამბუ. ზოგიერთ ადგილებში მთელი სოფლებია აშენებული ბამბუს მასალისაგან. ბამბუს ფიცრისაგან აშენებენ სახლებს და აკეთებენ დგამს; მისივე წვრილ ტკეჩებისაგან სწნავენ კალათებს და ფრინველებისათვის გალიებს, ხოლო დეროსაგან აკეთებენ ქურქლებს წყლისათვის. ბამბუს ქურქელი სუფთა არის, მსუბუქი და ადვილად წასადებ - წამოსა-

ღები. ამისთვისაც სჯობია იგი თიხის ქურქელს. ბოთლებისა, ქილებისა და კასრების მაგიერობასაც ბამბუს ქურქლები ასრულებენ იმ ქვეყნებში, იმათში ინახვენ წნილებს, მურაბას, თაფლს, ხმარობენ სამძრედ და სხვ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბუს ჩინეთში. იქ რას არ აკეთებენ მისგან? ვერც კი მოსთვლის ენა: სახლებს, დგამს, ქურქლებს, სამუსიკო იარაღებს, შლიაპებს, ფარნებს, ქილობებს, საცრებს და საწურავებს, ცხავეებს, ტახტრევანდებს და სხვ. ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის,





## ბაძბუ, ანუ ინდოეთის ლერწამი

რომ ბაძბუს ღეროები წყლის გასაყვან მიღებადაც გამოსადეგნი ყოფილან და ხმარობენ კიდევ ამ საქმისათვის ჩინეთში.

ბაძბუ ჰხარობს ინდოეთში, ჩინეთში, ინდო ჩინეთში, მაღლის არქიპელაგზე და იაპონიაში. საქართველოში, სახელდობრ ქვემო იმერეთში, ბაძბუს შეჭვდებით ეზოებში და ბაღებში აქა-იქ, როგორც უცხო მცენარეს, შორეულ ქვეყნიდან გადმონერგილს. ნოტიო ნიადაგზე მალე იზრდება ხოლმე და დიდათ სასარგებლო იქნება, რომ საქართველოშიაც გავრცელდებოდეს; ბევრს შემთხვევაში ხის მაგიერობას ვაგვიწევს, და ეს კარგი იქნება, რადგან ტყე ჩვენში თან-და-თან ძვირდება. ქუთაისის მახლობლათ წყალ-წითელაზე, და ქვემო იმერეთში სოფელს კულაშში, ამ ბოლოს დროს სანერგეები გაიმართა ბაძბუსი, და სოფლის მეურნეობის გამოფენა რომ იყო წელს ქუთაისში, ენკენისთვეში, ბევრმა საკუთარის თვლით ნახა ჩვენს ქვეყანაში აღმოცენებულ ბაძბუსაგან ვაკეთებული საუცხოვო სავარძელი (მოდიღო სკამი საზურგე და სამხრებიანი), დივანი, საწიგნე თაროები და მაგიდები.

ალექსი ჭიჭინაძე.

## გამოსაყენი სოღნა



უნების საოცარ მოვლენათ ჩაითვლება რომ ზოგი ერთი პირუტყვეები უსაზროდ დიდ ხანს სძლებენ—ესე იგი ზამთარში ორ სამ თვეს ძილში ატარებენ.

განა შესაძლოა რომ ცხენმა, ძაღლმა, მტრედმა, ან ქათამმა გასძლოს სამი ოთხი თვე უსაზროდოთ? მხოლოდ ერთი მაგალითი ვიცით, რომ ექიმმა ტანერმა ორმოცი დღე გაატარა უქმელათ და კინალამ თან გადაჰყვა.

მაგრამ კუს შეუძლიან მთელი წელიწადი უსაზროდოთ გაატაროს და არაფერი არ ევნოს.

პირუტყვეები, რომელთაც ცივი სისხლი უდგიათ ძარღვებში ადვილათ იტანენ ერთბაშად ძალიან ვაგრილებას—სიცივეს. ბაყაყი შეიძლება ისე გაყინოთ, რომ ფეხები ჯოხებივით გა-





დომტვრეს და ტყავის ქვეშ მიეკვრის ყინულის ნატეხები, მაგრამ როდესაც გაათბობთ—ისევ ისე გაცოცხლდება.

ქვემძრომის ცხოვრება საოცრათ წყნარათ წარმოებს: გული უცემთ ნელა, სუნთქავენ ოდნავ, ძლივს გაიგებთ.

სულ სხვას ვხედავთ იმ პირუტყვებზე, რომელთაც თბილი სისხლი აქვთ: მათში სისხლი მეტათ მოძრაობს, სუნთქვა ხშირი აქვთ, საქმლის ისეთი ჩქარი მონღლება იციან, რომ მალ-მალ ესაჭიროებათ საზრდო. უმეტესი ნაწილი თბილ სისხლიანი პირუტყვებისა ვერ იტანს სიცივეს. კურდღლის ბაჭები ვერ უძლებენ სიცივეს, თუ სიცხის საზომავი დაიწვეს ჩვიდმეტ გრადუსზე ქვევით.

რატომ თბილ სისხლიანი პირუტყვები, როგორც მაგალითად: ზახუნები, ვირ-თაგვები, დამურები, დათვები მთელ ზამთარს არაფერს სჭამენ და კი არა კვდებიან სიცივით და სიმშლით?

ეს იმიტომ ხდება, რომ ცხოველებს ზამთარში სძინავთ და მიეგვანებიან იმ პირუტყვებს, რომელთაც ცივი სისხლი აქვთ. მათი სიცოცხლე ძილში ნელა-ნელა წარმოებს: სუნთქვა და გულის ცემა უკლებთ. მაგალითად: ვირ თაგვა ჩვეულებრივ სუნთქავს საათში ათას ხუთასჯერ და ძილის დროს, ზამთარში ხოლო თოთხმეტჯერ უცემთ გული. დამურას ჩვეულებრივ გული ერთ წუთში უცემს ორასჯერ და ზამთარში, ძილის დროს, ხოლო ორმოცდა ათ ჯერ.

ერთი პატარა პირუტყვი, რომელსაც ძილის გუდას ეძახიან გული ისე ჩქარა უცემს, რომ მისი დათვლაც-კი შეუძლებელია. მაგრამ ხანგრძლივი ძილის დროს ზამთარში—ხოლო 16 ან 19 ჯერ უცემს წუთში.

ზამთარში ყველა პირუტყვებს ერთნაირათ მაგრათ არა სძინავთ.

დათვი ძალიან ფხიზელია, დიდი ხმაურობა მაშინვე აღვიძებს მას; გამოდის ხოლმე თავის ბუნაგიდან და ტყეში დახეტიალობს. თუ გამოქვაბულში, საცა დამურებს სძინავთ, ვინმე თოფს გაისვრის—ბევრი მათგანი გაიღვიძებენ და მიწაზე გაიშოტებიან, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ისე მიეცემიან ძილს. მღრინავ ცხოველებმა მეტათ ღრმა ძილი იციან. ვირ-თაგვა შეგიძლიანთ აიყვანოთ ხელში, აგორავოთ კიდევ იატაკზე, დაახეთქოთ მიწაზე, ნემსები შეურქოთ—ისევ ისე მაგრათ იძინებს, არაფერს იგძნობს. და თუ გაათბობთ—მაშინვე გაიღვიძებს და გრძნობიერება დაუბრუნდება.





ქართული  
წიგლითხვე

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

# დ რ ე ე ბ ა

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე  
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება  
შინაარსით.

უფველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიან: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.  
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე წომერი უფველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემო-  
იტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

### ქ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1 9 0 9 წ ლ ი ს ა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზო-  
გადობის წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სას ხლის ქუჩა, თავაღ-  
აზნ. ქარვასლა; ნაძალადევი მეპურე მელიტონ დოდობერიძესთან—მა-  
გისტრალნი ქუჩზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ  
სხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

### ხელის მოწერათა საუზრადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ  
ვინიცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-  
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-  
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საა-  
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

აღრესი: Тифлисъ, Редакція „Дროზბა“ И. С. АГЛАДЗЕ



ი 2/27



1909 წლის აგვისტოდან გაძიოდის **ეროვნული**  
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო **გაზეთი**

# მ მ მ ა ვ ა ლ ი

იმევე პროგრამით, როგორც გამოდიოდა.  
გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები ევროპაში,  
სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.

გაზეთის ფასი:

	1 წლით.	6 თვით.	3. თვით.	1. თვით.
თფილისში . . . . .	7 მან.	4 მან.	2 მ. 20 კ.	80 კაპ.
ქალაქ გარეთ. . . . .	7 მან.	4 მან.	2 მ. 50 კ.	90 კაპ.
საზღვარ გარეთ. . . . .	10 მან.	5 მან.	3 მან.	1 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა კითხვის საზოგადოების“ მალაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძალადევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.  
რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ . . . . . 6 р. — к.	за годъ . . . . . 8 р. — к.
за полгода . . . . . 3 р. 50 к.	за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльные №—5 коп. Загра, вицу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р.,  
сѣ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, обшій входъ сѣ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера  
Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиби.